პრაქტიკული რესურსები სკოლაში მონაწილეობითი კულტურის განვითარებისთვის

პრაქტიკული რესურსები სკოლებისთვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

პრაქტიკული რესურსები სკოლაში მონაწილეობითი კულტურის განვითარებისთვის

პრაქტიკული რესურსები
სკოლებისთვის

ევროპის საბჭო

პუბლიკაცია შექმნილია პროექტის “დემოკრატია იწყება სკოლაში – მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში” ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ევროპის საბჭო, საქართველოსთვის ევროპის საბჭოს 2024-2027 სამოქმედო გეგმის ფარგლებში და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით. პრაქტიკული რესურსები მოსწავლეთა მონაწილეობის, თემთან ურთიერთობისა და მშობელთა ჩართულობის მიმართულებით მომზადდა პროექტის პარტნიორი სკოლებიდან (გთხოვთ, იხილეთ მომდევნო გვერდზე) 64 სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლის თანამონაწილეობით, ადგილობრივი ექსპერტების მიერ წარმართული პროცესის ფარგლებში.

ამ ნაშრომში მოსაზრებები გამოთქმულია ავტორ(ებ)ის პასუხისმგებლობით და არ უნდა აღვიქვათ ევროპის საბჭოს ან შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ოფიციალურ პოლიტიკად.

დოკუმენტიდან ამონარიდების (500 სიტყვამდე) ხელახალი გამოყენება ნებადართულია მხოლოდ არაკომერციული მიზნებით, თუ დაცული იქნება ტექსტის მთლიანობა, ამონარიდი არ გამოიყენება კონტექსტიდან ამოღებულად, არ წარმოგვიდგენს არასრულ ინფორმაციას, ან სხვაგვარად არ შეიყვანს მკითხველს შეცდომაში ტექსტის ბუნებასთან, გამოყენების სფეროსა ან შინაარსთან მიმართებით. წყარო ტექსტი ყოველთვის აღიარებული უნდა იყოს შემდეგნაირად: „© ევროპის საბჭო, წელი, გამოცემა“. ყველა სხვა თხოვნა დოკუმენტის მთლიან ან ნაწილობრივ გამოქვეყნებაზე/თარგმნაზე უნდა წარედგინოს ევროპის საბჭოს პუბლიკაციებისა და ვიზუალური იდენტობის განყოფილებას (F-67075 Strasbourg Cedex ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით შემდეგ მისამართზე: publishing@coe.int).

ყველა სხვა თხოვნა ამ დოკუმენტთან დაკავშირებით უნდა წარედგინოს პროექტს დემოკრატია იწყება სკოლაში - მოსწავლეთა ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში სკოლასა და ადგილობრივ თემში”.

ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში
ჭავჭავაძის გამზირი 64ბ, მე-14 სართული
თბილისი 0179, საქართველო
education.georgia@coe.int

პრაქტიკული რესურსები მომზადებულია ნატო ანთიას, გუბაზ კობერიძის, ანამარია სუხიტაშვილის და მარიანა ხუნძაყიშვილის მიერ.

კონტრიბუციები: რუსუდან ჭანტურია, თამარ ჯიბლაძე (პრაქტიკული რესურსი „როგორ ვითანამშრომლოთ ბიზნესთან“)

დიზაინერი და ილუსტრატორი: ნათია კვარაცხელია

კორექტორი: ეკატერინე ბუჯიაშვილი

ევროპის საბჭოს გამომცემლობა
F-67075 Strasbourg Cedex
http://book.coe.int

წინამდებარე პუბლიკაციას არ გაუვლია რედაქტირება PVID-ის სარედაქციო განყოფილებაში, ტიპოგრაფიული ან გრამატიკული შეცდომების გასასწორებლად.

© ევროპის საბჭო, ივლისი 2026

პროექტის პარტნიორი სკოლების სია, რომლის წარმომადგენლებმაც მონაწილეობა მიიღეს პრაქტიკულ რესურსებზე მუშაობის პროცესში:

სსიპ - ავთანდილ დეკანოიძის სახელობის ქალაქ ქუთაისის № 32 საჯარო სკოლა

სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა წაღვერის საჯარო სკოლა

სსიპ - გალაკტიონ ტაბიძის სახელობის ქალაქ ვანის №2 საჯარო სკოლა

სსიპ - გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩალაუბნის საჯარო სკოლა

სსიპ - დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ამამლოს საჯარო სკოლა

სსიპ - ზურაბ ძამუნაშვილის სახელობის ქალაქ თბილისის № 220 საჯარო სკოლა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის №3 საჯარო სკოლა

სსიპ - ილია ჭავჭავაძის სახელობის ქალაქ ბათუმის №1 საჯარო სკოლა

სსიპ - ირაკლი აბაშიძის სახელობის ქალაქ ხონის №3 საჯარო სკოლა

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ვარდისუბნის საჯარო სკოლა

სსიპ - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხაჯალიის საჯარო სკოლა

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ნიჩბისის საჯარო სკოლა

სსიპ - მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წეროვნის №1 საჯარო სკოლა სსიპ - ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ გორელოვკის №3 საჯარო სკოლა

სსიპ - ოტია იოსელიანის სახელობის ქალაქ წყალტუბოს №1 საჯარო სკოლა

სსიპ - რევაზ მუმლაძის სახელობის ქალაქ ზესტაფონის №7 საჯარო სკოლა

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ თეკლათის საჯარო სკოლა

სსიპ - ტარიელ ფუტკარაძის სახელობის შუახევის მუნიციპალიტეტის სოფელ შუბნის საჯარო სკოლა

სსიპ - ტიციან ტაბიძის სახელობის ქალაქ თბილისის №43 საჯარო სკოლა

სსიპ - ქალაქ ბაღდათის №1 საჯარო სკოლა

სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №4 საჯარო სკოლა

სსიპ - ქალაქ სამტრედიის №11 საჯარო სკოლა

სსიპ - ქალაქ ქუთაისის №12 საჯარო სკოლა

სსიპ - ქალაქ წალენჯიხის №2 საჯარო სკოლა

სსიპ - ქალაქ ხაშურის №8 საჯარო სკოლა

სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქალაქ ხაშურის №9 საჯარო სკოლა

სსიპ - ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ განახლების საჯარო სკოლა



მოსწავლეთა მონაწილეობა და ინიციატივები

2026

თვითშეფასების ინსტრუმენტი მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის

რეფლექსიური ინსტრუმენტი



2026

თვითშეფასების ინსტრუმენტის მიზანია მოსწავლეთა თვითმმართველობის მხარდაჭერა საკუთარი საქმიანობის თვითშეფასებაში: რა გამოსდის კარგად, რა საჭიროებს გაუმჯობესებას და რა უნდა გააკეთოს უფრო გამჭვირვალე, თანასწორ და ეფექტიან გუნდად ჩამოყალიბებისათვის.



ფორმატი

- თვითშეფასების კითხვარი

- თვითშეფასების 6 ბლოკი, ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებით და მოკლე კითხვებით ან დებულებებით;

- შეფასების 3-ქულიანი სისტემა:

3 - დიახ

2 - ნაწილობრივ

1 - არა

თვითშეფასების ბლოკები

1	**გადაწყვეტილებათა გამჭვირვალედ მიღება**
☐	ჩვენი შეხვედრები ღიაა ყველა მოსწავლისთვის;
☐	გადაწყვეტილებებზე ინფორმაციას საჯაროდ ვაზიარებთ ჩვენს სკოლაში;
☐	ბიუჯეტი, აქტივობები და გეგმები ყველასთვის ცნობილი და გასაგებია.
2	**წარმომადგენლობითობა და თანასწორობა**
☐	წარმომადგენელი გვყავს ყველა კლასიდან;
☐	ახალ წევრებს ვიღებთ გამჭვირვალედ და თანაბარი პირობებით;
☐	განსხვავებულ მოსაზრებებს ღიად ვიღებთ და განვიხილავთ.

3	**კომუნიკაცია მოსწავლეებთან**
☐	რეგულარულად ვუზიარებთ მოსწავლეებს ინფორმაციას ჩვენს საქმიანობაზე;
☐	შეგვიძლია, მარტივად მოვისმინოთ თანატოლთა აზრები;
☐	მოსწავლეები გრძნობენ, რომ მათი აზრი გათვალისწინებულია.
4	**ინიციატივების დაგეგმვა-განხორციელება**
☐	ჩვენი ინიციატივები დაფუძნებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებზე;
☐	გვაქვს თითოეული აქტივობის გეგმა, ასევე მიზანი, და ვიცით, ვინ არის პასუხისმგებელი პირი;
☐	ინიციატივის განხორციელების შემდეგ, ვაფასებთ შედეგებს და ერთმანეთს ვუზიარებთ გამოცდილებას.
5	**თანამშრომლობა და გუნდურობა**
☐	პასუხისმგებლობებს სამართლიანად და მიუკერძოებლად ვანაწილებთ;
☐	ერთმანეთის აზრს პატივს ვცემთ;
☐	გვაქვს საერთო მიზნები და ვმუშაობთ, როგორც გუნდი.
6	**განვითარება და სწავლა**
☐	პერიოდულად ვაფასებთ ჩვენი გუნდის საქმიანობასა და პროგრესს;
☐	ვცდილობთ, ვისწავლოთ და განვავითაროთ ჩვენი კომპეტენციები (ლიდერობა, კომუნიკაცია, დაგეგმვა და ა. შ.);
☐	შეცდომებს განვიხილავთ სწავლების ნაწილად.

ინსტრუმენტის გამოყენების ინსტრუქცია

მნიშვნელოვანია, თვითშეფასების ინსტრუმენტი გამოიყენოთ გუნდურად (და არა ინდივიდუალურად). შეიკრიბეთ თვითმმართველობის წევრები და ერთობლივად წაიკითხეთ თითოეული პუნქტი. იმსჯელეთ თითოეულ საკითხზე და შეაფასეთ შესაბამისი ქულებით (3 - დიახ, 2 - ნაწილობრივ, 1 -არა).

ქულები დააჯამეთ თანდართული ექსელის ცხრილის გამოყენებით, რომელიც ავტომატურად დაითვლის შედეგებს (ფაილი - > გვერდი „შეფასება“). შედეგების გაცნობისა (ფაილი - > გვერდი „შედეგები“) და გაანალიზების შემდეგ, იმსჯელეთ, რომელ საკითხებში მიიღეთ შედარებით დაბალი მაჩვენებლები. ამოირჩიეთ სამი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელთა გაუმჯობესებაც გსურთ. მოიფიქრეთ, რა შეიძლება გაკეთდეს იმისთვის, რომ თვითშეფასების ინსტრუმენტის მომდევნო შევსებისას უკეთესი შედეგი აჩვენოთ. გაეცანით დანართში წარმოდგენილ სამოქმედო გეგმის ნიმუშს (ფაილი -> გვერდი „სამოქმედო გეგმა“), შემდეგ წაშალეთ ის და შეიმუშავეთ გეგმის თქვენი ვერსია. ამ ინსტრუმენტის გამოყენება რეკომენდებულია თვეში ერთხელ, რათა საკმარისი დრო გქონდეთ განვითარებისთვის და შესაბამისი პრაქტიკის დასახვეწად.



თვითგანვითარების ინსტრუმენტი მოსწავლეთა თვითმმართველობისთვის



2026



თვითშეფასების ინსტრუმენტის თანმხლები დაგეგმვითი ხელსაწყო

ამ ინსტრუმენტის მიზანია მოსწავლეთა მხარდაჭერა თვითგანვითარების პროცესების დაგეგმვა-განხორციელებაში. ინსტრუმენტი ორიენტირებულია მოსწავლეთა თვითმმართველობის მუშაობის გაუმჯობესებაზე, თუმცა მისი გამოყენება შესაძლებელია სხვა კონტექსტშიც.

თვითგანვითარების ინსტრუმენტი ეფუძნება თვითშეფასების ინსტრუმენტის შედეგებს. თუ ეს მეორე რესურსი მოსწავლეთა თვითმმართველობას მხარს უჭერს თავისი სამუშაო პრაქტიკის გაანალიზებაში, თვითგანვითარების მარტივი ინსტრუმენტი ამავე ორგანოს წევრებსა და, ზოგადად, მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების განვითარება-გაზრდაზე ორიენტირებული გეგმების შემუშავებაში.



ფორმატი

- **თვითგანვითარების გეგმა შემუშავებულია ერთი გვერდის პრინციპით;**
- **ინსტრუმენტი შედგება თვითშეფასების ფორმასთან ლოგიკურად დაკავშირებული 4 ბლოკისაგან;**
- **მისი ფორმა შესავსებად იოლია და თითოეულ ბლოკში მოიცავს რამდენიმე მარტივ კითხვას;**
- **რესურსის გამოყენება შესაძლებელია როგორც გუნდურად, ისე ინდივიდუალურად.**

თვითგანვითარების ბლოკები

1. ჩემი სამი პრიორიტეტი (თვითშეფასების ფორმის შედეგები)



იმ საკითხების განსაზღვრა, რომლებიც საჭიროებს გაუმჯობესებას, თვითშეფასების ფორმის გაანალიზების შედეგად:

- რომელი სამი საკითხი გამოვლინდა ჩემს ან გუნდის სუსტ მხარეებად?
- რატომ არის მნიშვნელოვანი ამ საკითხების განვითარება ჩემთვის ან გუნდისთვის?

2. ჩემი მიზანი

ცხადი, გაზომვადი მიზნების დასახვა:

- ერთი მთავარი მიზანი: -
- ორი დამხმარე მიზანი: -

  -

- როგორ დავადგენ, რომ მიზანი მიღწეულია?

3. ნაბიჯები და პასუხისმგებლობები

კონკრეტული სამოქმედო გეგმის შემუშავება:

- რა ნაბიჯები უნდა გადავდგა მიზნის მისაღწევად? (კონკრეტული მოქმედებების განსაზღვრა)
- როდის გადავდგამ თითოეულ ნაბიჯს?
- ვისთან ერთად გადავდგამ მათ?
- ვისი მხარდაჭერა მჭირდება? (მასწავლებლის, კლასელების, ადმინისტრაციის და ა. შ.)

4. შედეგები და თვითრეფლექსია:

ჩატარებული სამუშაოს გაანალიზება:

- რა გავაკეთე?
- რა გამომივიდა კარგად?
- რა იყო რთული (და რატომ)?
- რას შევცვლიდით?

ინსტრუმენტის გამოყენების ინსტრუქცია:

- თვითგანვითარების ინსტრუმენტი გამოიყენება თვითშეფასების ინსტრუმენტთან ერთად: პირველ შეხვედრაზე შეავსეთ თვითშეფასების ფორმა, შემდეგ კი გადადით განვითარების გეგმაზე;
- შეარჩიეთ ერთი პატარა, რეალისტური მიზანი, რომელზეც იმუშავებთ 3-4 კვირის განმავლობაში;

- კვირაში ერთხელ (ან კონკრეტული სიტუაციის მიხედვით) დაუბრუნდით გეგმას და გადახედეთ პროგრესს;
- თუ გუნდი ერთად მუშაობს გეგმის განხორციელებაზე, კარგი იქნება „განვითარების საერთო სივრცის შექმნა“ (მაგ. google docs-ში), სადაც თითოეული წევრი მოკლედ გააზიარებს პროგრესსა და სხვადასხვა რესურსს.



ნიმუში

X სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობამ, Y რეგიონში, თვითშეფასების ინსტრუმენტის გამოყენებით, გამოავლინა, რომ მისთვის გამოწვევაა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობა: კერძოდ, შეხვედრებზე ინფორმაცია წინასწარ არ ვრცელდებოდა მოსწავლეებს შორის. ამის შემდეგ, მოსწავლეთა თვითმმართველობამ, თვითგანვითარების ინსტრუმენტის მეშვეობით, შეადგინა თვითგანვითარების გეგმა:

ბლოკი 1. ჩემი სამი პრიორიტეტი

რა სუსტი მხარეები გამოვლინდა:

თვითშეფასების ინსტრუმენტის გამოყენებამ გამოავლინა, რომ სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობას გასაუმჯობესებელი აქვს შემდეგი საკითხები:

1 → მოსწავლეთა დაბალი ჩართულობა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.

2 → კომუნიკაციის სისტემის არაეფექტურობა (არ გვაქვს ინფორმაციის გავრცელების მუდმივი არხი);

3 → დაბალი ცნობიერება თვითმმართველობის როლსა და საქმიანობაზე სკოლაში.

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი:

თუ ინფორმაცია ეფექტურად არ გავრცელდება მოსწავლეთა შორის, ისინი ვერ ჩაერთვებიან სკოლის ცხოვრებაში, მათ ხმას ვერ მოისმენენ გადაწყვეტილებათა მიღებისას და თვითმმართველობა დაკარგავს თავის ძირითად ფუნქციას - მოსწავლეთა წარმომადგენლობას.

ბლოკი 2. ჩემი მიზანი

მთავარი მიზანი:

- შევქმნათ ეფექტური საინფორმაციო სისტემა, რომლის მეშვეობითაც შევძლებთ ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნებას შეხვედრებზე, შემდეგ კი - შედეგების გავრცელებას.

ორი დამხმარე მიზანი:

- მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა თვითმმართველობის საქმიანობაში;
- კომუნიკაციის გამჭვირვალე და ფუნქციური არხის შექმნა.

როგორ დავადგენ, რომ მიზანი მიღწეულია:

- ყოველი შეხვედრის შესახებ ინფორმაცია წინასწარ ქვეყნდება;
- შეხვედრის შედეგები რეგულარულად ვრცელდება;
- მოსწავლეებმა იციან თვითმმართველობის გადაწყვეტილებათა შესახებ.
- უფრო მეტი მოსწავლე აინიცირებს სხვადასხვა აქტივობას თვითმმართველობასთან ერთად.

ბლოკი 3. ნაბიჯები და პასუხისმგებლობები

ნაბიჯები:

- საინფორმაციო ჯგუფის (მაგ. Whatsapp-ში) ან სკოლის facebook გვერდის შექმნა;
- წესად დანერგვა, რომ შეხვედრაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს მის გამართვამდე 1 კვირით ადრე;
- მოკლე შეჯამების მომზადება შეხვედრის შემდეგ და გავრცელება სკოლაში;
- ინფორმაციის გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნა;
- ინიციატივის ფორმის შემუშავება მოსწავლეებისთვის.

როდის:

- პირველი კვირა: Whatsapp-ის ჯგუფის/სკოლის facebook გვერდის შექმნა; ინიციატივის ფორმის შემუშავება;
- ყოველთვიურად: შეხვედრების ორგანიზება შემოსული ინიციატივების განხილვის, დაგეგმვისა და განხორციელების შესახებ;
- შეხვედრამდე: ინფორმაციის წინასწარ გამოქვეყნება;
- შეხვედრის შემდეგ: შედეგების გავრცელება 1-2 დღის ვადაში.

ვისთან ერთად:

ნაბიჯები გადაიდგმება:

- თვითმმართველობის წევრებთან ერთად;
- კლასის წარმომადგენლებთან ერთად;
- მოსწავლეებთან ერთად.

რა მხარდაჭერა გვჭირდება:

- მასწავლებლის დახმარება ორგანიზებაში;
- სკოლის ადმინისტრაციის მხარდაჭერა/თანხმობა ინფორმაციის გავრცელების არხის შესაქმნელად;
- ტექნიკური მხარდაჭერა (სოციალური ქსელები).

ბლოკი 4. შედეგები და თვითრეფლექსია

რა გავაკეთეთ:

- დავიწყეთ ინფორმაციის გავრცელების სისტემის დაგეგმვა;
- მოვამზადეთ შეხვედრების გეგმა.

რა გამოგვივიდა კარგად:

- პრობლემის იდენტიფიცირება და კონკრეტული გეგმის შედგენა;
- გუნდის წევრებთან შეთანხმება.

რა იყო გამოწვევა:

- მოსწავლეთა ინტერესისა და აქტივობის ნაკლებობა;
- კომუნიკაციის სისტემის არარსებობა თავიდან.

რას შევცვლიდით:

- უფრო ადრე დავიწყებდით ინფორმაციის გავრცელების სისტემის შექმნას;
- უფრო აქტიურად ჩავრთავდით მოსწავლეებს გადაწყვეტილებათა მიღებაში.

მოსწავლეთა ხმების რუკა

ინტერაქციული ინსტრუმენტი



2026

ამ ინსტრუმენტის მიზანია, მოსწავლეთა თვითმმართველობამ უკეთ გაიგოს თანატოლთა განწყობები, ინტერესები, საჭიროებები და იდეები.

საჭირო მასალა

- ფლიპჩარტის ქაღალდი ან დიდი ფურცელი
- ფერადი სტიკერები (წითელი, მწვანე, ლურჯი)
- კალმები/მარკერები
- თვალსაჩინო ადგილი რუკის გასაკრავად



მოსამზადებელი ნაბიჯები



პოსტერი - ფლიპჩარტის ქაღალდსა ან დიდ ფურცელზე დახატეთ თქვენი სკოლის გეგმა, რომელზეც ასახულია საკლასო ოთახები, ეზო, დერეფანი, კაფეტერია და ა.შ. სათაურად დააწერეთ „მოსწავლეთა ხმების რუკა“; ასევე დაურთეთ მინაწერი: ***„ამ რუკის დახმარებით გავარკვევთ, რა მოგწონთ თქვენს სკოლაში, რისი შეცვლა გსურთ და რა იდეები გაქვთ“.*** სკოლის გეგმის ვიზუალიზაცია მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ მოსწავლეებმა ყოვლისმომცველად იმსჯელონ და არ შემოგვთავაზონ მხოლოდ ინფრასტრუქტურული საკითხები, რომლებიც ყველაზე მარტივი დასანახია.

პოსტერის განთავსება - გააკარით თვალსაჩინო ადგილას, სადაც მოსწავლეები ხშირად ხვდებიან *(მაგ: დერეფანში, სკოლის შესასვლელთან, ან თვითმმართველობის ოთახთან)*. იქვე განათავსეთ ფერადი სტიკერები *(წითელი, მწვანე, ლურჯი)*, გამოყენების წესთან ერთად:

სტიკერების გამოყენება - თანატოლებს სთხოვეთ, მივიდნენ რუკასთან და გამოხატონ საკუთარი აზრი. მნიშვნელოვანია, დაიცვან ფერების გამოყენების წესი და სტიკერები რუკაზე გააკრან შესაბამის ადგილას (მაგ: საკლასო ოთახზე შეიძლება დავაკრათ ლურჯი სტიკერი, წარწერით „მეტი პრაქტიკული გაკვეთილი“, სპორტულ დარბაზზე კი - წითელი სტიკერი, წარწერით „გვჭირდება კალათბურთის ბურთი“).

ხანგრძლივობა - სასურველია, პოსტერი გაკრული დავტოვოთ, სულ მცირე, 1 კვირა, ან მთელი სასწავლო წლის განმავლობაში, რათა მოსწავლეებს ყოველთვის შეძლოთ საკუთარი მოსაზრებებისა და იდეების გამოხატვა.



შედეგების ანალიზი - განთავსების დროის ამოწურვის შემდეგ, თვითმმართველობის წევრებმა მოგროვებული სტიკერები დააჯგუფეთ თემების მიხედვით *(მაგ: სპორტი, სწავლა, სკოლის მართვა, სამოქალაქო აქტივიზმი, თავისუფალი დრო და ა. შ.)*. თუ პოსტერი დიდხანს იქნება გაკრული, სტიკერები გარკვეული პერიოდულობით მოაგროვეთ და გააანალიზეთ.

ანალიზი და შეჯამება - შედეგების დაფაზე გამოჩნდება ძირითადი ტენდენციები: სად აქვს სკოლას მეტი პრობლემა *(წითელი სტიკერები)*, სად იკვეთება მეტი დადებითი მხარე *(მწვანე სტიკერები)* და სად სთავაზობენ მოსწავლეები მეტ იდეას *(ლურჯი სტიკერები)*.

მნიშვნელოვანია, თვითმმართველობამ მოამზადოს მოკლე ანგარიში და წარუდგინოს მოსწავლეებს *(მაგ: „მოსწავლეთა ხმების რუკამ“ აჩვენა, რომ სკოლას სჭირდება ბიბლიოთეკის განახლება, ასევე, საერთო სივრცისა და ეზოს მოწყობა, ხოლო იდეის სახით შემოთავაზებულია სპორტული დღეებისა და ლიტერატურული საღამოების ორგანიზება)*.

დამატებით, მოსწავლეებს შეუძლიათ, თითოეულ საკითხზე ჩაატარონ ე. წ. SWOT ანალიზი. ეს საშუალებას მისცემთ, უფრო დეტალურად დაგეგმონ პრობლემათა გადაჭრის გზები და მარტივად შეძლონ მოსაგვარებელი საკითხების პრიორიტეტიზაცია.

ინიციატივის დაგეგმვა-განხორციელების ინსტრუმენტი

პრაქტიკული ხელსაწყო



2026



ამ ინსტრუმენტის მიზანია, მოსწავლეებს დაეხმაროს იდეების ჩამოყალიბებაში, მიზნების დასახვასა და კონკრეტული ნაბიჯების დაგეგმვაში.





გამოყენების ინსტრუქცია:

ინიციატივის დაგეგმვა-განხორციელების ინსტრუმენტით სარგებლობა შეგიძლიათ ჯგუფურადაც და ინდივიდუალურადაც. თითოეული ჯგუფი/ინდივიდი ირჩევს პრობლემას ან იდეას, რომელიც უკავშირდება სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა სფეროს *(მაგ: სწავლა, სპორტი, ეკოლოგია, თავისუფალი დრო და სხვა).*

მნიშვნელოვანია, ინსტრუმენტი გამოიყენოთ წარმოდგენილი რიგითობით: დაიწყეთ იდეით და თანმიმდევრულად მიჰყევით მომდევნო ბლოკებს. თითოეული მათგანი დაგეხმარებათ დეტალური, ნაბიჯ-ნაბიჯ გაწერილი გეგმის შემუშავებაში.

ყველა ნაწილი შეავსეთ გულწრფელად და კონკრეტულად. რაც უფრო მკაფიოდ განსაზღვრავთ მიზანს, გუნდს, პასუხისმგებლობებსა და მოქმედებებს, მით უფრო გაგიმარტივდებათ ინიციატივის განხორციელება.

შეგიძლიათ, თითოეული ბლოკი ფერად ფურცელზე ასახოთ, ისრებით დააკავშიროთ ერთმანეთთან და შექმნათ თქვენი ინიციატივის რუკა მაგ.:

ინიციატივა წარუდგინეთ თვითმმართველობას, კლასს ან მასწავლებელს, მიიღეთ უკუკავშირი და, საჭიროების შემთხვევაში, განაახლეთ გეგმა.

ინიციატივის განვითარების ბლოკები

1 **იდეა:**	- რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ სკოლაში თქვენი ინიციატივით? - რატომ არის ეს ინიციატივა მნიშვნელოვანი სხვებისთვისაც? ✱ ***ჩამოაყალიბეთ თქვენი იდეა ერთი წინადადებით.***
2 **მიზანი:**	- რას უნდა მიაღწიოთ ამ ინიციატივით? - როგორ დაადგენთ, რომ ინიციატივა წარმატებით დასრულდა *(რა შედეგს ელით)?* ✱ ***მოიფიქრეთ ერთი მთავარი და ორი დამატებითი მიზანი.***
3 **გუნდი და პასუხისმგებლობები:**	- ვინ დაგეხმარებათ იდეის განხორციელებაში? - *ვის რა როლი ექნება პროცესში?* ✱ ***შექმენით გუნდი და გადაანაწილეთ პასუხისმგებლობები***
4 **რესურსები და საჭიროებები:**	- რა დაგჭირდებათ? *(დრო, მასალა, სივრცე, ფინანსები, მხარდაჭერა)* - *ვის შეგიძლიათ, მიმართოთ დახმარებისთვის?* ✱ ***ჩამოთვალეთ რესურსები და მათი წყაროები.***
5 **განხორციელების გზები და სამოქმედო გეგმა:**	- რა გზებითა და ნაბიჯებით მიაღწევთ დასახულ მიზანს? - *ვინ, როდის და როგორ შეასრულებს თითოეულ ნაბიჯს?* ✱ ***შეადგინეთ მარტივი სამოქმედო გეგმა (რა? ვინ? როდის? როგორ?)***
6 **განხორციელება:**	- როგორ აქცევთ გეგმას რეალობად? - *როგორ გაუმკლავდებით სირთულეებს?* ✱ ***შეაფასეთ რისკები და მოიფიქრეთ გამოსავალი.***
7 **შეფასება და გაზიარება**	- როგორ შეაფასებთ შედეგებს? - *ვის გაუზიარებთ მიღებულ გამოცდილებას და მიღწეულ შედეგებს?* ✱ ***შეავსეთ მოკლე თვითშეფასების ფორმა: რა გამომივიდა? რა ვისწავლე? რა უნდა გავაუმჯობესო?***

ინიციატივის განვითარების ბლოკები

მაგალითი N 1

1 იდეა:

- რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ სკოლაში თქვენი ინიციატივით?

- რატომ არის ეს ინიციატივა მნიშვნელოვანი სხვებისთვისაც?

****ჩამოაყალიბეთ თქვენი იდეა ერთი წინადადებით.***

მაგალითი

იდეა: სკოლაში შეიქმნას მოსწავლეთა მონაწილეობის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მოსწავლეები შეძლებენ ჩართვას სკოლის შინაგანაწესის/სამოქმედო გეგმის შემუშავება-განახლებაში, ასევე, საკუთარი მოსაზრებების/ინიციატივების წარდგენას ამ პროცესში.

2 მიზანი:

- რას უნდა მიაღწიოთ ამ ინიციატივით?

- როგორ დაადგენთ, რომ ინიციატივა წარმატებით დასრულდა (რა შედეგს ელით)?

****მოიფიქრეთ ერთი მთავარი და ორი დამატებითი მიზანი.***

მაგალითი



მთავარი მიზანი: მოსწავლეთა აქტიური მონაწილეობა სკოლის შინაგანაწესის/სამოქმედო გეგმის განხილვასა და გაუმჯობესებაში.

დამატებითი მიზანი 1: მოსწავლეთა მონაწილეობის გაზრდა სკოლის მართვის პროცესებში.

დამატებითი მიზანი 2: თანამშრომლობის გაძლიერება მოსწავლეებსა და სკოლის ადმინისტრაციას შორის.

3 გუნდი და პასუხისმგებლობები:

- ვინ დაგეხმარებათ იდეის განხორციელებაში?

- ვის რა როლი ექნება პროცესში?

მაგალითი ***პასუხისმგებლობათა ცხრილი***

პასუხისმგებელი პირი	როლი
მოსწავლეთა თვითმმართველობა	ინიცირება და ორგანიზება
მოსწავლეები	მოსაზრებათა გაზიარება
მასწავლებლები	პროცესის მხარდაჭერა და ფასილიტაცია
ადმინისტრაცია	შეხვედრების მხარდაჭერა და მოსწავლეთა იდეების განხილვა
მოსწავლეები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლები	იდეების მომზადება და წარდგენა

4 რესურსები და საჭიროებები:



- რა დაგჭირდებათ? (დრო, მასალა, სივრცე, ფინანსები, მხარდაჭერა)

- ვის შეგიძლიათ მიმართოთ დახმარებისთვის?

****ჩამოთვალეთ რესურსები და მათი წყაროები.***

მაგალითი



საჭირო რესურსები:

- შეხვედრების სივრცე
- კომპიუტერი და პროექტორი
- კითხვარები/ონლაინფორმები
- დრო შეხვედრებისა და განხილვებისთვის

მხარდაჭერის წყაროები:

- სკოლის ადმინისტრაცია
- კლასის დამრიგებლები
- თვითმმართველობა
- მშობლები

5 განხორციელების გზები და სამოქმედო გეგმა:

- რა გზებითა და ნაბიჯებით მიაღწევთ დასახულ მიზანს?

- ვინ, როდის და როგორ შეასრულებს თითოეულ ნაბიჯს?

****შეადგინეთ მარტივი სამოქმედო გეგმა (რა? ვინ? როდის? როგორ?)***

მაგალითი **სამოქმედო გეგმა**

ნაბიჯი ვინ შეასრულებს	როდის	როგორ
მოსწავლეთა ინფორმირება მოსწავლეები, თვითმმართველობა	1 კვირა	პრეზენტაციებისა და შეხვედრების გამართვა მოსწავლეებთან
ინფორმაციის გავრცელება სოციალური ქსელებით. იდეებისა და პრობლემების შეგროვება სკოლის მოსწავლეები	2 კვირა	კითხვარების შედგენა და შეხვედრების ორგანიზება
სამუშაო ჯგუფების შექმნა მოსწავლეები + ადმინისტრაცია + მასწავლებლები + მშობლები+	1 კვირა	დაინტერესებული წევრების განსაზღვრა
ჯგუფების განაწილება თემების მიხედვით. შინაგანაწესისა და გეგმების განხილვა სამუშაო ჯგუფები	2 კვირა	შეხვედრებისა და დისკუსიების გამართვა იდეებისა და რეკომენდაციების წარდგენა მოსწავლეები და თვითმმართველობა ბოლო ეტაპი პრეზენტაცია სკოლის ადმინისტრაციასთან

6 განხორციელება:

- როგორ აქცევთ გეგმას რეალობად?

- როგორ გაუმკლავდებით სირთულეებს?

****შეაფასეთ რისკები და მოიფიქრეთ გამოსავალი.***

მაგალითი



რისკები:

- მოსწავლეთა დაბალი აქტიურობა
- დროის ნაკლებობა
- ორგანიზების სირთულეები
- განსხვავებული მოსაზრებები და შეუთანხმებლობა

გამოსავალი:

- საინტერესო და ღია შეხვედრების გამართვა
- ონლაინჩართულობის შესაძლებლობის შექმნა (ონლაინკითხვარების მომზადება და გამოკითხვების ჩატარება)
- დისკუსიისა და გადაწყვეტილების მიღების წესების წინასწარ შეთანხმება

7 შეფასება და გაზიარება

- როგორ შეაფასებთ შედეგებს?

- ვის გაუზიარებთ მიღებულ გამოცდილებას და მიღწეულ შედეგებს?

****შეავსეთ მოკლე თვითშეფასების ფორმა: რა გამოგვივიდა? რა ვისწავლეთ? რა უნდა გავაუმჯობესოთ?***

მაგალითი

შედეგების შეფასებისას განვსაზღვრავთ, რამდენი მოსწავლე ჩაერთო პროცესში და რამდენი იდეა აისახა სკოლის შინაგანაწესში/სამოქმედო გეგმაში.

მიღებულ გამოცდილებასა და მიღწეულ შედეგებს გავუზიარებთ ჩვენი სკოლის საზოგადოებას და სხვა სკოლებს.

რა გამოგვივიდა: მოსწავლეებმა გამოთქვეს საკუთარი მოსაზრებები და იდეები, რაც აისახა საბოლოო დოკუმენტში.

რა ვისწავლეთ: თანამშრომლობა, დისკუსიისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესის მართვა.

რა უნდა გავაუმჯობესოთ: ჩავრთოთ მეტი მოსწავლე, წავახალისოთ მრავალფეროვანი იდეები და უკეთ დავგეგმოთ შეხვედრები.

მაგალითი N 2*

****მაგალითი #2 გთავაზობთ იდეისა და მიზნის კიდევ ერთ ნიმუშს. დანარჩენი ბლოკები შეგიძლიათ, ჩამოაყალიბოთ წინა მაგალითის მიხედვით.***

1. იდეა:

- რისი შეცვლა ან გაუმჯობესება გსურთ სკოლაში თქვენი ინიციატივით?

- რატომ არის ეს ინიციატივა მნიშვნელოვანი სხვებისთვისაც?

****ჩამოაყალიბეთ თქვენი იდეა ერთი წინადადებით.***

მაგალითი

იდეა: სკოლაში შეიქმნას *მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის პროგრამა,* რომელიც გაზრდის მოსწავლეთა მონაწილეობას სკოლაში გადაწყვეტილებათა მიღებაში, ასევე, სასკოლო და სათემო ინიციატივებში.

მიზანი:



- რას უნდა მიაღწიოთ თქვენი ინიციატივით?
- როგორ დაადგენთ, რომ ინიციატივა წარმატებით დასრულდა (რა შედეგს ელით)?

****მოიფიქრეთ ერთი მთავარი და ორი დამატებითი მიზანი.***

მაგალითი

მთავარი მიზანი: მოსწავლეთა მონაწილობის გაზრდა სკოლის საქმიანობაში.

დამატებითი მიზანი 1: მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერება.

დამატებთი მიზანი 2: მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდა სასკოლო და სათემო ინიციატივებში.

რა შეუძლია/არ შეუძლია მოსწავლეთა თვითმმართველობას

საბარათე თამაში



2026



რესურსის მიზანია, მოსწავლეებმა გააცნობიერონ, რომ სკოლის თვითმმართველობა არ არის მხოლოდ საარჩევნო ან ფორმალური ორგანო: ეს არის თანატოლთა წარმომადგენლობა, რომლის ამოცანაა ინიციატივათა ინდივიდუალური თუ ერთობლივი განვითარება და გადაწყვეტილებათა მიღება დემოკრატიული პროცესით.



ფორმატი

➡ **მონაწილეთა რაოდენობა:** 5-20;

➡ **მონაწილეთა პროფილი:** მოსწავლე, მასწავლებელი, ადმინისტრაციის წევრი ან/და მშობელი;

➡ **საჭირო მასალა:** ფერადი სათამაშო ბარათების ნაკრები. მათ მწვანე მხარეს წარმოდგენილია კონკრეტული ქმედება „შეუძლია“ ან „არ შეუძლია“ დასტებიდან, ხოლო ყვითელ მხარეს - ინფორმაცია ამ ქმედების შესახებ;

➡ **მეთოდოლოგია:** მონაწილეები იღებენ ბარათებს, მსჯელობენ და ცდილობენ კონკრეტული მაგალითის მოფიქრებას თავიანთი სკოლების კონტექსტში;

➡ **გამოყენება:** საბარათე თამაშის გამოყენება შესაძლებელია მოსწავლეთა თვითმმართველობის გაცნობით შეხვედრებზე, პირველ შეკრებაზე, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე, ასევე, სხვა კონტექსტშიც, მათ შორის, გაკვეთილზე.

ბარათები



დასტა #1 – ქმედების მხარე (მწვანე)

მოსწავლეთა თვითმმართველობას შეუძლია:

1.

მოსწავლეთა საჭიროებებისა
და ინტერესების გამორკვევა

2.

თანატოლთა აზრის მოსმენა
თავისი საქმიანობისას და
მაქსიმალურად გათვალისწინება
გადაწყვეტილების მიღებამდე

3.

თვითმმართველობის შეხვედრების
გამჭვირვალედ ორგანიზება

4.

პასუხისმგებლობების
თანაბრად გადანაწილება
თვითმმართველობის გუნდში

5.

სასკოლო ცხოვრებაში საინტერესო
ინიციატივების შეთავაზება
მოსწავლეთათვის

6.

მოსწავლეთა
თვითმმართველობის ახალი
წევრების წახალისება სასკოლო
პროცესებში ჩასართავად

ბარათები



დასტა #1 – ქმედების მხარე (მწვანე)

მოსწავლეთა თვითმმართველობას შეუძლია:

7.

სხვა მოსწავლეთა თუნდაც განსხვავებული იდეების მხარდაჭერა

8.

აქტივობების დაგეგმვა-განხორციელება საგაკვეთილო პროცესს მიღმა

9.

სამეურვეო საბჭოში წარმომადგენლობა, სხვადასხვა საკითხის დღის წესრიგში დაყენება და მათ განხილვაში მონაწილეობა

10.

სამეურვეო საბჭოს სხდომებზე განხილული საკითხების გაზიარება სხვა მოსწავლეთათვის

ბარათები

დასტა #1 – ინფორმაციული მხარე (ყვითელი)

***ყვითელი ბარათების ნუმერაცია სინქრონიზებულია მწვანე ბარათებთან.**

1.

თვითმმართველობა იკვლევს მოსწავლეთა სურვილებსა და ინტერესებს, მათზე მორგებული აქტივობების დასაგეგმად. ასეთი მიდგომა აძლიერებს დემოკრატიულ მონაწილეობას და თანატოლთა ჩართულობას

2.

გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს არა მხოლოდ თვითმმართველობის წევრთა შეხედულებებს, არამედ მოსწავლეთა ხმებსაც. ეს აყალიბებს თანასწორობისა და საერთო პასუხისმგებლობის კულტურას

3.

შეხვედრები ღია და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყველა მოსწავლისთვის. ამგვარი გამჭვირვალობა ზრდის ნდობას და მონაწილეობის მოტივაციას

4.

ყველა წევრს უნდა ჰქონდეს კონკრეტული როლი და პასუხისმგებლობა. ამ გზით, თვითმმართველობა სწავლობს გუნდურ მუშაობას და სამართლიანობის პრინციპების დაცვას

5.

თვითმმართველობის ინიციატივები შეიძლება აუმჯობესებდეს სასკოლო ცხოვრებას, მოსწავლეთა ჩართულობასთან ერთად, და ეხებოდეს კულტურულ, სამოქალაქო, სპორტულ, სოციალურ თუ სხვა საკითხებს

6.

თვითმმართველობამ უნდა შექმნას მეგობრული გარემო, სადაც ყველა მოსწავლე მნიშვნელოვნად მიიჩნევს საკუთარ ხმას. ეს ხელს შეუწყობს ახალი იდეების გენერირებასა და ინკლუზიურობას

ბარათები

დასტა #1 – ინფორმაციული მხარე (ყვითელი)

***ყვითელი ბარათების ნუმერაცია სინქრონიზებულია მწვანე ბარათებთან.**

7.

განსხვავებული აზრი ძალაა და არა დაბრკოლება. ამიტომ, მხარი უნდა დავუჭიროთ განსხვავებულ მოსაზრებებს და ვიპოვოთ საერთო გადაწყვეტილებები

8.

სკოლა მხოლოდ გაკვეთილებით არ შემოიფარგლება: თვითმმართველობას შეუძლია, კლასგარეშე ინიციატივებითაც გააერთიანოს მოსწავლეები, რაც გაზრდის მოტივაციას და საერთო პასუხისმგებლობის განცდას

9.

თვითმმართველობის წევრს შეუძლია, გახდეს მოსწავლეთა ხმა გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოებში. სამეურვეო საბჭოში მონაწილეობა ავითარებს მოქალაქეობრივ აზროვნებას და ლიდერულ უნარებს

10.

მიღებული ინფორმაცია გასაგებად და ღიად უნდა მიეწოდოს ყველა მოსწავლეს. ეს ავითარებს გამჭვირვალე კომუნიკაციას და ნდობის კულტურას

ბარათები



დასტა #2 – ქმედების მხარე (მწვანე)

მოსწავლეთა თვითმმართველობას არ შეუძლია:

1.

გადაწყვეტილებათა მიღება მხოლოდ საკუთარი შეხედულებით

2.

თანატოლთა აზრის უგულებელყოფა

3.

უფლებამოსილებების გამოყენება მხოლოდ საკუთარი ინტერესებისთვის, ან გამორჩეულობისა თუ სტატუსის ნიშნად

4.

სკოლის ადმინისტრაციისგან მიღებული ინფორმაციის დამალვა მოსწავლეთათვის

5.

მეგობრებისა და თანაკლასელების შერჩევითად და მიკერძოებულად ჩართვა სხვადასხვა აქტივობაში

6.

განსხვავებული აზრის უგულებელყოფა

ბარათები



დასტა #2 – ქმედების მხარე (მწვანე)

მოსწავლეთა თვითმმართველობას არ შეუძლია:

7.

ფორმალურად ჩართვა სამეურვეო საბჭოს საქმიანობაში

8.

საკუთარი კლასის ინტერესების წინ წამოწევა, სხვათა განსხვავებული საჭიროებების მიუხედავად

9.

ინიციატივების წამოწყება რესურსებისა და მიზნის განსაზღვრის გარეშე

10.

საგაკვეთილო პროცესის გაცდენა მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობისთვის

ბარათები

დასტა #2 – ინფორმაციული მხარე (ყვითელი)

***ყვითელი ბარათების ნუმერაცია სინქრონიზებულია მწვანე ბარათებთან.**

1.

თვითმმართველობის მიზანია არა მხოლოდ ლიდერთა მოსაზრებების, არამედ საერთო აზრის გამოხატვაც. გადაწყვეტილებები უნდა ეფუძნებოდეს მოსწავლეთა საერთო ინტერესებს

2.

დემოკრატიული მონაწილეობა გულისხმობს მოსმენისა და ჩართულობის კულტურის დამკვიდრებას. ამის უგულებელყოფა არღვევს თანასწორობის პრინციპს

3.

თვითმმართველობა გულისხმობს პასუხისმგებლობას და არა გამორჩეულობას. მისი ორიენტირია არა სტატუსი, არამედ საერთო კეთილდღეობა

4.

გამჭვირვალობა აუცილებელია ნდობისთვის. ინფორმაციის დამალვა ზღუდავს სხვა მოსწავლეთა ჩართულობას

5.

თვითმმართველობამ უნდა უზრუნველყოს სამართლიანობა და თანაბარი შესაძლებლობები. პრივილეგიები და მიკერძოება ამცირებს ნდობას გუნდის მიმართ

6.

განსხვავებული მოსაზრება დემოკრატიული პროცესის ნაწილია და მასზე რეაგირება აძლიერებს დიალოგსა და კრიტიკულ აზროვნებას

ბარათები

დასტა #2 – ინფორმაციული მხარე (ყვითელი)

***ყვითელი ბარათების ნუმერაცია სინქრონიზებულია მწვანე ბარათებთან.**

7.

მხოლოდ დასწრება არ ნიშნავს მონაწილეობას. აუცილებელია მოსწავლეთა ინტერესების აქტიურად წარმოდგენა, არგუმენტირება და შეძლებისდაგვარად გათვალისწინება

8.

თვითმმართველობა მოსწავლეთა გაერთიანებაა და მისი გადაწყვეტილებები უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას

9.

ნებისმიერი ინიციატივა კარგად უნდა დაიგეგმოს. მიზნის არქონა იწვევს დაბნეულობას და ამცირებს მოტივაციას

10.

მიღებული ინფორმაცია გასაგებად და ღიად უნდა მიეწოდოს ყველა მოსწავლეს. ეს ავითარებს გამჭვირვალე კომუნიკაციას და ნდობის კულტურას



თამაშის მსვლელობა

მომზადება - ბარათები მოათავსეთ მაგიდაზე (ან ძირს), მწვანე მხარით ზემოთ, ისე, რომ ყველა ხედავდეს მათ. მონაწილეები სხდებიან წრიულად.

ბარათის ამორჩევა - თითოეული მონაწილე (შემთხვევითად ან შერჩევით) იღებს ერთ ბარათს, ისე, რომ ვერ ხედავდეს ყვითელ მხარეს; შემდეგ ეცნობა მწვანე მხარეს არსებულ წარწერას და, როდესაც მისი ჯერი მოვა, ხმამაღლა კითხულობს ამ წინადადებას.

დისკუსია 1 *(მწვანე მხარე)* - მონაწილე საკუთარი სიტყვებით ხსნის, როგორ ესმის ბარათის მწვანე მხარეს დაწერილი წინადადება, შემდეგ კი ჯგუფს უზიარებს ამ საკითხთან დაკავშირებულ ერთ რეალურ მაგალითს საკუთარი ან სკოლის გამოცდილებიდან. დანარჩენ მონაწილეებს შეუძლიათ კომენტარის გაკეთება, გამოცდილების გაზიარება, ან რაიმე ინფორმაციის დამატება, რის შემდეგაც ერთად იმსჯელებენ, თუ რომელ დასტას ეკუთვნის ბარათი - „შეუძლიას“, თუ „არ შეუძლიას“.

დისკუსია 2 *(ყვითელი მხარე)* - პირველი დისკუსიის დასრულების შემდეგ, მონაწილე გადააბრუნებს ბარათს და ხმამაღლა კითხულობს ყვითელ მხარეს წარმოდგენილ ინფორმაციას. ჯგუფი განაგრძობს მსჯელობას, რამდენად შეესაბამება ეს განმარტება მათ მიერ გაზიარებულ საკითხებს, შეიცვალეს თუ არა აზრი რომელიმე მათგანზე და როგორ შეიძლება ამ საკითხის გაუმჯობესება სკოლის კონტექსტში.

შეჯამება - ყველა მონაწილის ბარათის განხილვის შემდეგ, ისინი მოკლედ უზიარებენ ჯგუფს, რა ისწავლეს/გაიგეს ამ საბარათე თამაშიდან.

***თუ თამაშს ჰყავს ფასილიტატორი, შეჯამების ნაწილში შესაძლებელია დამატებითი დისკუსიის გამართვაც, შემდეგი კითხვების გამოყენებით:**



- რომელმა ბარათმა დაგაინტერესათ ან გაგაკვირვათ ყველაზე მეტად? რატომ?
- რას გრძნობდით სხვისი აზრების მოსმენისას? ეთანხმებოდით თუ ეწინააღმდეგებოდით მათ?
- როგორ ფიქრობთ, რატომ არის მნიშვნელოვანი გამჭვირვალობა და თანასწორობა თვითმმართველობაში?
- ერთი ბარათის დამატება რომ შეგეძლოთ, რა საკითხზე იქნებოდა ის?

თემთან თანამშრომლობა

პრაქტიკული რესურსი
სკოლებისთვის

2026

როგორ ვითანამშრომლოთ ბიზნესთან

პრაქტიკული რესურსი
სკოლებისთვის



2026

შესავალი

გზამკვლევის მიზანია, დაეხმაროს სკოლებს ბიზნესკომპანიებთან თანამშრომლობის ეფექტიანად დაგეგმვასა და წარმართვაში. იგი მოიცავს რეკომენდაციებს, კომუნიკაციის მაგალითებს, პარტნიორობის ტიპებს, ასევე, ნაბიჯებს წარმატებული და მდგრადი თანამშრომლობისათვის.

ბიზნესსექტორთან თანამშრომლობის ტიპები

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება მოსწავლეებისთვის

- სამუშაო ადგილზე დაკვირვების დღეების ორგანიზება კომპანიაში;
- ვიზიტებისა და ტურების მოწყობა კომპანიაში, გენდერულ თანასწორობასა და დასაქმებულთა უფლებების დაცვაზე დაფუძნებული, ინკლუზიური და ეთიკური მიდგომების გასაცნობად;
- სტაჟირება მოსწავლეებისთვის.

ჩართულობა სკოლაში



- ბიზნესის წარმომადგენელთა ლექციებისა ან ექსპერტთა საუბრების გამართვა *(პრო ბონო/მოხალისეობრივად);*
- „კარიერულ დღეებში“ მონაწილეობა;
- მენტორული პროგრამების დანერგვა;
- მცირე ერთობლივი სამოქალაქო აქტივობების განხორციელება *(მაგ. პასუხისმგებლიანი მეწარმეობის ან ციფრული უსაფრთხოების კუთხით).*

სკოლის მხარდაჭერა

- აღჭურვილობის, მასალების ან რესურსების შემოწირულობა;
- ღონისძიებებისა ან კონკურსების სპონსორობა;
- მასწავლებელთა განვითარების ხელშეწყობა *(ისინი მომზადებას გადიან კომპანიებში, ცოდნის განახლებისათვის).*

5 ნაბიჯი, რომლებიც დაგეხმარებათ ბიზნესთან თანამშრომლობის დაწყებაში

ნაბიჯი 1.

დაგეგმეთ

ბიზნესთან დაკავშირებამდე, შეიმუშავეთ გეგმა და წინასწარ განსაზღვრეთ, რატომ გჭირდებათ მასთან ურთიერთობა.

დაფიქრდით:

- რის მიღწევას ცდილობთ? რა გჭირდებათ? ან რას მოითხოვთ?
- ამ საკითხს შეხედეთ ბიზნესის პერსპექტივიდანაც - რას სთავაზობთ სანაცვლოდ? თუ ამჯერად ვერ დაგეხმარებიან, შეგიძლიათ სხვა აქტივობების შეთავაზება მომავალში ჩასართავად?

ბიზნესთან თანამშრომლობის დაგეგმვისას, ძალიან სასარგებლო ინსტრუმენტია გავლენისა და ინტერესის მატრიცა: მისი დახმარებით, სწორად შეაფასებთ, რომელ ბიზნესს რა რესურსი აქვს, რომელი პარტნიორი უფრო ჩაერთვება პროცესში და როგორ უნდა მართოთ ურთიერთობა თითოეულთან.



პირველი ნაბიჯის სახით, ჩამოწერეთ ყველა ბიზნესი, რომლებთანაც შესაძლებელია თანამშრომლობა, შემდეგ კი შეაფასეთ თითოეული მათგანი, ორი პარამეტრის გამოყენებით:

ინტერესის დონე:

რამდენად სურს კომპანიას სკოლასთან თანამშრომლობა?

გავლენის დონე:

რა შესაძლებლობები აქვს კომპანიას და რა გავლენის მოხდენა შეუძლია სკოლის პროექტებზე? *(ფინანსური რესურსის, ექსპერტების ჩართულობის, ან მატერიალური მხარდაჭერის მხრივ)*

• იდენტიფიცირებული ბიზნესები გაანაწილეთ ოთხ კატეგორიად:

შენიშვნა: გავლენისა და ინტერესის მატრიცა პერიოდულად განაახლეთ, რადგან კომპანიების პოზიციები შეიძლება დროთა განმავლობაში შეიცვალოს.



რატომ ითანამშრომლებს ბიზნესი სკოლებთან?
ამას შეიძლება ჰქონდეს სხვადასხვა მიზეზი:

- პირადი კავშირები *(მაგ: ბიზნესის მფლობელის/წარმომადგენლის ოჯახის წევრი მუშაობს/სწავლობს სკოლაში, ან თვითონ არის ამ სკოლის კურსდამთავრებული);*
- კვალიფიციური კადრების დეფიციტი - ახალგაზრდების მოზიდვა მათ ინდუსტრიაში;
- თემში ცნობიერების ამაღლება ან წარმოდგენის შეცვლა ბიზნესზე;
- კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) პოზიციონირება - ბიზნესი გარკვეულ სარგებელს უბრუნებს თემს.

ნაბიჯი 2. დაუკავშირდით

ყველაზე მარტივი იქნება, ბიზნესთან დაკავშირება დაიწყოთ იმ ინფორმაციისა და კონტაქტების შესწავლით, რომლებიც უკვე არსებობს სკოლაში. კერძოდ:



- დაადგინეთ კურსდამთავრებულების, თანამშრომლებისა და მოსწავლეთა მშობლების კომპანიები;
- მოიკვლიეთ სკოლისთვის სერვისის მიმწოდებლები;
- შეისწავლეთ ადგილობრივი ტერიტორია და სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებული ინდუსტრიები;
- მოიძიეთ ადგილობრივი მცირე ბიზნესები *(საწარმოები, კაფეები, მაღაზიები და სხვა ობიექტები)*, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებრივი ინიციატივების მხარდაჭერა;
- მოძებნეთ მსხვილი კომპანიები, რომლებსაც დანერგილი აქვთ სასწავლო მიმართულებები;
- დაკავშირებამდე, მაქსიმალურად საფუძვლიანად შეისწავლეთ კომპანია, მისი საქმიანობა, ინტერესები და ღირებულებები;
- შეამოწმეთ, აქვს თუ არა თქვენს სკოლას კავშირი ორგანიზაციასთან, რომელსაც უკავშირდებით;
- გაუგზავნეთ კომპანიას წერილი ელფოსტის მეშვეობით და შესთავაზეთ გაცნობითი შეხვედრა;
- არ დაგავიწყდეთ კომპანიების აღრიცხვა მონაცემთა ბაზაში *(იხ. შაბლონი ქვემოთ).*

ნაბიჯი 3. მოემზადეთ შეხვედრისთვის

თუ ბიზნესი დაგთანხმდებათ დროის დათმობაზე თანამშრომლობის განსახილველად:



- მოამზადეთ შეთავაზება - „მარკეტინგული წინადადება“ იმის წარმოსაჩენად, თუ რატომ უნდა ითანამშრომლოს ბიზნესმა თქვენს სკოლასთან: რა სარგებელს მიიღებს ამით, ერთი მხრივ, თვითონ და, მეორე მხრივ, სკოლა;
- განსაზღვრეთ, სად და როდის შეძლებთ ბიზნესის მოწვევას გაცნობით შეხვედრაზე სკოლაში? დარწმუნდით, რომ გაქვთ შესაფერისი სივრცე შეხვედრისთვის;
- მოამზადეთ მცირე ხემსი შეხვედრისთვის და მასალები თქვენი სკოლის წარმოსაჩენად *(მაგ: მოსწავლეთა ნამუშევრები პროექტებიდან, სკოლის მიღწევები და სხვა);*
- განსაზღვრეთ, ვინ უხელმძღვანელებს შეხვედრას სკოლიდან.

ნაბიჯი 4. შეინარჩუნეთ კონტაქტი

დაფიქრდით, როგორ შეძლებთ ურთიერთობების შენარჩუნება-განვითარებას ბიზნესთან.

- ჩაიწერეთ მათი საკონტაქტო ინფორმაცია და შეხვედრის შედეგები;
- დაუკავშირდით ბიზნესს, მადლობა გადაუხადეთ დათმობილი დროისთვის და შეუთანხმდით შემდეგ ნაბიჯებზე;
- შეასრულეთ დაპირება: დარწმუნდით, რომ ასრულებთ ყველაფერს, რაზეც შეთანხმდით *(მაგ: აწვდით ინფორმაციას, უგზავნით საჭიროებათა სიას და სხვა);*
- გახსოვდეთ, ურთიერთობებს შენარჩუნება სჭირდება, ამიტომ, რეგულარულად დაუკავშირდით ბიზნესებს და მოიწვიეთ სკოლაში გამართულ ღონისძიებებზე, რათა თავი იგრძნონ სკოლის საზოგადოების ნაწილად.

ნაბიჯი 5.

მკაფიოდ განსაზღვრეთ მიზნები და ამოცანები ყველა მონაწილისთვის



- გაითვალისწინეთ, ბიზნესის წარმომადგენელთა უმეტესობა განათლების სპეციალისტი არ არის. შესაბამისად, ღონისძიებებისა თუ აქტივობების დაწყებამდე, კარგად აუხსენით, რას უნდა ელოდონ;
- ხელი შეუწყვეთ მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას;
- თქვენი აქტივობა შეაფასეთ ყველა პერსპექტივიდან - როგორც ბიზნესის, ისე მოსწავლეებისა და სკოლის. ეს მოგცემთ შედეგების ობიექტურად გაზომვის შესაძლებლობას, მიღებული გამოცდილების გააზრებით კი თქვენი მომდევნო აქტივობა ყოველთვის უკეთესი გამოვა.



რამდენიმე რჩევა ბიზნესთან კომუნიკაციისათვის:

1 ***ზუსტად ჩამოაყალიბეთ, რას ითხოვთ ბიზნესისგან და განუმარტეთ, რატომ არის თქვენი პროექტი მნიშვნელოვანი. კომპანიისთვის უმნიშვნელოვანესია, იცოდეს:***

- რა პროექტს ამზადებთ
- რაში გჭირდებათ მხარდაჭერა
- რა სიკეთეს მოუტანს პროექტი საზოგადოებას
- რა სარგებელს მიიღებს ბიზნესი ამით

2 ***შესთავაზეთ ბრენდის პოპულარიზაცია. ბიზნესს იზიდავს თანამშრომლობა, როცა:***

- მისი ბრენდი დადებითად წარმოჩინდება საზოგადოებაში
- იცის, რას მიიღებს
- სანაცვლოდ *(რეკლამა, მადლობის პოსტი, სკოლის ღონისძიებაზე ხსენება და ა.შ.)*

3 *დაიწყეთ თანამშრომლობა ადგილობრივი მცირე ბიზნესებიდან:*

დიდ კომპანიებს ბევრი ადამიანი უკავშირდება მხარდაჭერის თხოვნით, რის გამოც ისინი ვერ ახერხებენ ყველა პროექტის მხარდაჭერას. ამიტომ, მნიშვნელოვანია - განსაკუთრებით, მცირე სათემო პროექტებზე თანამშრომლობისთვის - დაუკავშირდეთ აქტიურ, თუმცა ნაკლებად ცნობილ ბიზნესებს, როგორიცაა:



- პატარა მაღაზიები
- კაფეები
- სათამაშოებისა ან ტკბილეულის მაღაზიები
- გამომცემლობები

4 *პარტნიორთან დაამყარეთ ოფიციალური კომუნიკაცია:*

მოამზადეთ ოფიციალური წერილი და გაგზავნეთ შესაბამის ადრესატთან (იხ. შაბლონი ქვემოთ). თუ ერთი კვირის განმავლობაში ვერ მიიღებთ პასუხს, უმჯობესია, დასაკავშირებლად გამოიყენოთ სხვა გზები:

- ელფოსტა
- სატელეფონო კომუნიკაცია
- ვიზიტი ოფისში, თანამშრომლობის საკითხებზე სასაუბროდ

5 *ხელი შეუწყვეთ პარტნიორი ბიზნესის პოპულარიზაციას და დადებითი იმიჯის გაზრდას:*

მნიშვნელოვანია, სოციალურ ქსელებში მადლიერებით მოიხსენიოთ პარტნიორის სახელი. ეს ზრდის შანსს, რომ მომავალშიც დაგიჭირონ მხარი. ასევე არ დაგავიწყდეთ:



- მადლობის წერილისა და ღონისძიების ფოტოების გაგზავნა კომპანიისთვის
- პოსტის გამოქვეყნება სოციალურ ქსელში (თუ ეს არ ეწინააღმდეგება სკოლის პოლიტიკას)
- მხარდამჭერი ბიზნესის ხსენება პროექტის პრეზენტაციაში/ სკოლის პუბლიკაციაში

6 *შექმენით „სკოლის პარტნიორთა სია“ (რუკა)*

როცა ბიზნესი ხედავს, რომ სხვა კომპანიებიც არიან სკოლის პარტნიორები, თანამშრომლობა მარტივდება. ამიტომ, ნათლად გააშუქეთ ინფორმაცია თქვენი პარტნიორების შესახებ, მათ შორის:

- სკოლის ვებგვერდზე
- სხვადასხვა სოციალურ პლატფორმაზე
- პროექტის პრეზენტაციაში
- კედლის ბანერით/პოსტერით

მითები და რეალობა ბიზნესთან თანამშრომლობის შესახებ

მითი 1:

ბიზნესს მხოლოდ სარეკლამო მიზნები ამოძრავებს.

რეალობა:

ბევრი კომპანია სკოლებთან თანამშრომლობს კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობის (CSR) ფარგლებში და ცდილობს, ხელი შეუწყოს ახალგაზრდების განვითარებას, განათლების ხარისხის ამაღლებას და საზოგადოების საჭიროებათა დაკმაყოფილებას.

მითი 2:

მხოლოდ დიდი და ფინანსურად ძლიერი კომპანიები თანამშრომლობენ სკოლებთან.

რეალობა:

სკოლის პროექტებში აქტიურად მონაწილეობენ მცირე და საშუალო ბიზნესებიც *(მაგ: კაფეები, სათამაშოებისა თუ წიგნების მაღაზიები, რესტორნები და სხვა)*. მეტიც, ისინი უფრო სწრაფად რეაგირებენ კომუნიკაციაზე, უკეთ იცნობენ ადგილობრივ საჭიროებებს და მზად არიან მცირე, მაგრამ მნიშვნელოვანი მხარდაჭერისთვის.

მითი 3:

ბიზნესისგან მნიშვნელოვანია მხოლოდ ფინანსური მხარდაჭერა.

რეალობა:

პარტნიორობა მრავალმხრივია და შეიძლება გამოიხატოს სხვადასხვა ფორმით: მუშაობა მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციაზე, მენტორობა, მასტერკლასების გამართვა, პროდუქციის ან სერვისების დონაცია, სივრცის დათმობა სასკოლო პროექტებისთვის და ა.შ. შესაძლოა, კონკრეტული პროექტისთვის ეს უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს. მაგალითად, წიგნების მაღაზიები და გამომცემლობები უსასყიდლოდ გასცემენ წიგნებს სკოლის პროექტებისა თუ ბიბლიოთეკების მხარდასაჭერად; სათამაშოების მაღაზიები სათამაშოებს სჩუქნიან ბავშვებს; სასურსათო მაღაზიები პროდუქციას გაიღებენ მოსწავლეთა ინიციატივების ფარგლებში *(მაგ. სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდასაჭერად)*; უნივერსიტეტები ხშირად უთმობენ სივრცეებს მოსწავლეებს და რთავენ ლექტორებს საინტერესო შეხვედრებში.

მითი 4:

მოსწავლეები ნაკლებად ერთვებიან ბიზნესთან კომუნიკაციაში და მხოლოდ სახალისო აქტივობებს ირჩევენ.

რეალობა:

პრაქტიკა აჩვენებს, რომ მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ მნიშვნელოვან სასწავლო პროექტებში, როცა პროცესში ჩართულნი არიან მათი მხარდამჭერები - მენტორები, მასწავლებლები და მშობლები. სათანადო მოტივაციის შემთხვევაში, ისინი თავად უკავშირდებიან ბიზნესებს პარტნიორობის წამოსაწყებად, რასაც, ხშირად, გაცილებით კარგი შედეგი აქვს: როდესაც ბიზნესი ხედავს ინიციატივიან ახალგაზრდას, რომელიც ცდილობს, აქტიურად ჩაერთოს სოციალურ პრობლემათა მოგვარებაში, უფრო მეტად უჩნდება ამ ინიციატივის მხარდაჭერის სურვილი.

მითი 5:

პარტნიორობა მხოლოდ ერთჯერადი ინიციატივაა და ვერ აყალიბებს სამომავლო ურთიერთობას.

რეალობა:

რეალობა: ეფექტიანი თანამშრომლობა ხშირად განაპირობებს მრავალწლიან, სტაბილურ პარტნიორობას, რაც ორივე მხარეს (ბიზნესსაც და სკოლასაც) აძლევს გრძელვადიანი საგანმანათლებლო პროექტების დაგეგმვის საშუალებას. ამის მისაღწევად, მხარეები ხშირად აფორმებენ მემორანდუმს - ურთიერთშეთანხმებისა და მხარდაჭერის დოკუმენტს, რომლითაც თანხმდებიან გრძელვადიან პარტნიორობაზე.

სასარგებლო ნიმუშები — 1

წერილი

პატივცემულო [*კომპანიის სახელი, ან წარმომადგენლის სახელი*],

[*სკოლის სრული სახელწოდება*] მოგმართავთ ინიციატივით, რომ განვიხილოთ თანამშრომლობა თქვენს კომპანიასა და ჩვენს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის.

ჩვენი სკოლა აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, ბიზნესსექტორთან მჭიდრო ურთიერთობა კი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მათი მოტივაციისა და განათლების ამაღლებაში, ასევე, მომავლისთვის ახალგაზრდების უკეთ მომზადებაში.

შესაბამისად, გთხოვთ განიხილოთ თანამშრომლობის შესაძლო ფორმები *(შეგიძლიათ, ჩამონათვალიდან აირჩიოთ ან თავად მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ერთი ან რამდენიმე ფორმა)*

- საინფორმაციო შეხვედრები და პრეზენტაციები მოსწავლეებისთვის;
- მოსწავლეთა ვიზიტები თქვენს ოფისში, საწარმოსა ან ფილიალში;
- მასტერკლასები, ტრენინგები ან თემატური სამუშაო შეხვედრები;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტები;
- პროფესიული სტაჟირების პროგრამები უფროსკლასელებისთვის

მზად ვართ, განვიხილოთ თანამშრომლობის სხვა მოდელებიც, რომლებიც მორგებულია თქვენს ინტერესებზე. ვფიქრობთ, ჩვენი პარტნიორობა სასარგებლო იქნება როგორც მოსწავლეებისთვის, ისე თქვენი კომპანიისთვის.

გთხოვთ, შეგვატყობინოთ თქვენთვის მოსახერხებელი დრო გაცნობითი შეხვედრისთვის.

პატივისცემით,

[გვარი სახელი] [პოზიცია]

[სკოლის სრული სახელწოდება] [ტელეფონი]

[ელფოსტა]

სასარგებლო ნიმუშები — 2 სატელეფონო საუბრის სცენარი

სკოლა: გამარჯობა, მე ვარ [*სახელი გვარი*], გიკავშირდებით [*სკოლის სახელი*]-დან. ვისთან შეიძლება გასაუბრება თანამშრომლობის საკითხზე?

კომპანია: [*გამისამართებთ შესაბამის პირთან*]

სკოლა: გამარჯობა. გმადლობთ, რომ დრო დამითმეთ. ჩვენი სკოლა აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა პროფესიულ განვითარებაზე, ამიტომ, ვეძებთ კომპანიებთან პარტნიორობის შესაძლებლობას. თქვენი კომპანიის საქმიანობა ძალიან საინტერესოა ჩვენი მოსწავლეებისთვის და გვსურს, შემოგთავაზოთ თანამშრომლობა, სხვადასხვა ფორმატით. ეს შეიძლება იყოს: *საინფორმაციო შეხვედრები, ექსკურსია/ვიზიტი თქვენს ოფისსა ან საწარმოში, მასტერკლასები, მოკლე სტაჟირება, ან თქვენთვის მისაღები ნებისმიერი სხვა ფორმა.*

თუ დაინტერესდებით, სიამოვნებით დავგეგმავთ მოკლე ონლაინ ან პირისპირ შეხვედრას თქვენთან, დეტალების დასაზუსტებლად. როდის გექნებათ დრო, რომ გავცვალოთ ინფორმაცია?

კომპანია: [*პასუხი*]

სკოლა: შესანიშნავია, აუცილებლად გამოგიგზავნით მოკლე მიმოხილვას და შეხვედრის დეტალებს. გმადლობთ თანამშრომლობისთვის. სასიამოვნო დღეს გისურვებთ!

სასარგებლო ნიმუშები — 3 მარკეტინგული წინადადება

[სკოლის სახელწოდება] აქტიურად მუშაობს მოსწავლეთა ჩართულობის გაზრდასა და განვითარებაზე. ამიტომ, ჩვენ ვეძებთ ღირებულ პარტნიორებს, რომლებიც მზად იქნებიან, მონაწილეობა მიიღონ ახალგაზრდების მომავლის ფორმირებაში, განათლებისა და განვითარების მხარდაჭერით.



გვსურს, შემოგთავაზოთ: [*მოარგეთ თქვენს შეთავაზებას*]

- **კომპანიის შესახებ ცნობადობის გაზრდა სკოლაში, მშობლებსა და თემში;**
- **ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება;**
- **კომპანიის ექსპერტთა ჩართვა მოსწავლეებთან გამართულ თემატურ შეხვედრებსა და „კარიერული დღეების“ ღონისძიებებში;**
- **მონაწილეობა სოციალური პასუხისმგებლობის პროექტებში.**

გვსურს, გთხოვოთ: *[მოარგეთ თქვენს მოთხოვნას]*

- **მხარდაჭერა საგანმანათლებლო აქტივობებში, ფინანსური, მატერიალური ან ადამიანური (ექსპერტები) რესურსებით;**
- **გრძელვადიანი პარტნიორობის ჩამოყალიბება**, **რომელიც მნიშვნელოვან ღირებულებას შექმნის ორივე მხარისთვის**.

თქვენი ჩართულობა ფასდაუდებელ წვლილს შეიტანს ახალგაზრდების მხარდაჭერის საქმეში, რაც, თავის მხრივ, გააძლიერებს ამ კომპანიის, როგორც საზოგადოებაზე ორიენტირებული და მაღალი პასუხისმგებლობის მქონე ბიზნესის პოზიციონირებას.

მზად ვართ, გავეცნოთ კომპანიის ხედვასაც და განვიხილოთ თანამშრომლობის ორმხრივად მისაღები ფორმატი, თქვენთვის მოსახერხებელ დროს.

კომპანიების ჩართულობის მონაცემთა ბაზა

კომპანიის სახელი	საქმიანობის სექტორი	საკონტაქტო პირი	თანამდებობა	ტელეფონი/ ელფოსტა	მისამართი	დაკავშირების თარიღი	შედეგი/სტატუსი (მაგ: წარმატებული; შეხვედრა დაგეგმილია, უპასუხოდ)	პასუხისმგებელი პირი სკოლიდან	დაგეგმილი აქტივობ	შემდგომი ნაბიჯი	შენიშვნა

როგორ დავგეგმოთ სათემო ღონისძიებები და ჩავრთოთ თემი სასკოლო ცხოვრებაში

პრაქტიკული რესურსი
სკოლებისთვის



2026

სკოლას შეუძლია სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზება, რომლებიც გააძლიერებს კავშირს ამ დაწესებულებასა და თემს შორის. ხშირად, სწორედ სკოლაა ის ინსტიტუტი, რომლის ირგვლივაც ერთიანდება ადგილობრივი საზოგადოება.

ეს გზამკვლევი სკოლას დაეხმარება წარმატებული სათემო ღონისძიებების ნაბიჯ-ნაბიჯ დაგეგმვასა და განხორციელებაში.



რა სათემო ღონისძიებების დაგეგმვა შეუძლია სკოლას?

ცხრილში წარმოდგენილია სათემო ღონისძიებათა ტიპები, რომელთა განხორციელებაც შეუძლია სკოლას:

1 კულტურულ-შემოქმედებითი ღონისძიებები	მუსიკის, კინოსა და წიგნის ფესტივალები; კონცერტები, სპექტაკლები და წარმოდგენები; სპეციალური დღეები ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნების წარმოსაჩენად.
2 საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებები	შეხვედრები და ვორქშოფები აქტუალურ თემებზე - მშობლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეებისთვის; შეხვედრები მოწვეულ სპეციალისტებთან - ტექნოლოგიების, გარემოს დაცვის, ადამიანის უფლებებისა და ჯანსაღი ცხოვრების შესახებ; სასწავლო გამოფენები - ჰაკათონები, სტარტაპის იდეები.
3 სპორტული ღონისძიებები	სასკოლო ტურნირები და ოლიმპიადები; სპორტული დღეები მშობელთა ჩართულობით და მარათონები.
4 სათემო პროექტები	ქვეითთა გადასასვლელის (ე.წ. ზებრას) მოწყობა ან მიუსაფარი ძაღლების თავშესაფრით უზრუნველყოფა ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით: გარემოს დასუფთავება, სკოლის ეზოს მოწყობა და გამწვანება, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა-გაყიდვა
5 სოციალური და საქველმოქმედო ღონისძიებები	საქველმოქმედო ფონდების შექმნა (საკვების, ტანსაცმლის, წიგნებისა და სხვა ნივთების შეგროვება); მოხალისეობრივი დღეები.

სკოლის სათემო ღონისძიებებს უმეტესწილად სადღესასწაულო, გასართობი სახე აქვს და არ გააჩნია მკაცრად სტრუქტურირებული დღის წესრიგი. მნიშვნელოვანია, მათი მიზანი გასაგები და საკმარისად მიმზიდველი იყოს აუდიტორიისთვის, შეძლებისდაგვარად ბევრი ადამიანის ჩასართავად. თუმცა, სოციალური და საქველმოქმედო ღონისძიებები უფრო მეტად ორიენტირებულია მისიაზე. შესაბამისად, საკუთარ გზავნილებში სკოლის სულისკვეთების ასახვასთან ერთად, ეს ინიციატივები იმგვარად უნდა დაორგანიზდეს, რომ მონაწილეებს არ დარჩეთ კითხვები, თუ რა გავლენა მოახდინეს თავიანთი წვლილის შეტანით.

როგორ დავიწყოთ?

სათემო ღონისძიებათა დაგეგმვამდე, სასარგებლო იქნება **რესურსების რუკის** შედგენა: ეს არის თემში არსებული პარტნიორების, რესურსებისა და შესაძლებლობების ვიზუალური გამოსახულება, რომლითაც სკოლას შეუძლია სარგებლობა.

თემში ბევრი ისეთი ექსპერტი და სერვისია, რომლებსაც მნიშვნელოვანი სარგებლის მოტანა შეუძლიათ სკოლისთვის. ამ რესურსების რუკაზე დატანის შემდეგ, შეგიძლიათ, თქვენი ადგილობრივი კავშირებით მიაღწიოთ ორმხრივად სასარგებლო შედეგებს.

პირველ რიგში, უნდა დაფიქრდეთ/მოიძიოთ, რა რესურსები ან სერვისები არსებობს თქვენს თემში *(მაგ: მოსწავლეთა მშობლები, სკოლის კურსდამთავრებულები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი თვითმმართველობა, კლუბები, სახელოვნებო თუ კულტურული წრეები/დაწესებულებები, გაერთიანებები, მედია და ა. შ.)* და რომელი მათგანია ხელმისაწვდომი უფასოდ.

შეგიძლიათ, თემის რესურსების რუკა წარმოადგინოთ ცხრილის სახით:

სერვისი/პროგრამა /ორგანიზაცია	საკონტაქტო პირი	ტელეფონის ნომერი/ელფოსტაა	სკოლასთან თანამშრომლობს (დიახ, არა)

შენიშვნა: *გაითვალისწინეთ, რუკა მუდმივად უნდა განახლდეს - დაემატოს ახალი რესურსები ან წაიშალოს ის, რაც აღარ არის ხელმისაწვდომი.*

ასევე შესაძლებელია, განსაზღვროთ, რა დონის ჩართულობას გეგმავთ თემის კონკრეტულ წარმომადგენელთან/ჯგუფთან. ამისათვის შეგიძლიათ **გავლენისა და ინტერესის მარტივი მატრიცის გამოყენება:** თუ ამა თუ იმ დაინტერესებულ მხარეს შეიძლება დიდი გავლენაც ჰქონდეს და, ამავდროულად, მაღალი ინტერესიც თქვენი იდეის განხორციელებისადმი, მას მიენიჭება „ჩართულობის მაღალი დონე“; თუ ასეთი გავლენა და ინტერესი დაბალია, მხარე განისაზღვრება როგორც „დაბალპრიორიტეტული“ და მასთან კომუნიკაცია ან თანამშრომლობა არ იქნება ინტენსიური.

რესურსებისა და პარტნიორების გაანალიზების შემდეგ, შეგიძლიათ, გადახვიდეთ დაგეგმვის ეტაპზე. სასარგებლო იქნება სათემო ღონისძიებათა **წლიური კალენდრის** შედგენაც. დაფიქრდით, ვინ არიან თემის წევრები და რა ინტერესები ან საჭიროებები აქვთ მათ; ეცადეთ, ერთი ან რამდენიმე განსხვავებული ღონისძიებით მოახერხოთ ყველას ჩართვა პროცესში. ამის მისაღწევად, დასაწყისისთვის კარგი იქნება სოფლის/ქალაქის დღის ორგანიზება, რომელიც გააერთიანებს თემის ყველა წევრს და, თავისი საზეიმო/ხალისიანი განწყობით, დადებითად განაწყობს ერთმანეთისადმი. ასეთი ღონისძიებები კარგი შესაძლებლობაა იმისთვისაც, რომ თემის წევრები დაუკავშირდნენ ერთმანეთს და იმსჯელონ/იმუშაონ თემისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე (მაგ: როგორიცაა მოსწავლეთა ჩართულობა, საჭიროებები და მონაწილეობის შესაძლებლობები).

8 ნაბიჯი სათემო ღონისძიების დასაგეგმად

ნაბიჯი 1.
განსაზღვრეთ მიზანი

- ✔ ჩამოაყალიბეთ, რა მიზანი აქვს ღონისძიებას? (თემის ჩართულობა, განათლება, ქველმოქმედება, კულტურა და სხვა)
- ✔ ვინ არის სამიზნე ჯგუფი? (მოსწავლეები, მშობლები, თემის სხვა წევრები, მასწავლებლები)

ნაბიჯი 2.
შექმენით საორგანიზაციო ჯგუფი

- ✔ *ჩართეთ ამ ჯგუფში მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები, სკოლის კურსდამთავრებულები;*
- ✔ *გადაანაწილეთ პასუხისმგებლობები და როლები: ორგანიზება, ბიუჯეტის მართვა, ღონისძიებაზე ინფორმირება, უსაფრთხოება.*

ნაბიჯი 3.
დაგეგმეთ ბიუჯეტი

- *აღრიცხეთ საჭირო რესურსები;*
- *მოიძიეთ დაფინანსების წყაროები: სკოლა, მშობლები, ადგილობრივი ბიზნესი, ფონდები (ამაში თემის რესურსების რუკაც დაგეხმარებათ).*

ნაბიჯი 4.
შეადგინეთ პროგრამა

- *შეიმუშავეთ ღონისძიებათა განრიგი;*
- *შეადგინეთ მონაწილეებისა და სტუმრების სია;*
- *განსაზღვრეთ ლოგისტიკური საკითხები (საჭირო სივრცე, ტექნიკა, მასალები).*

ნაბიჯი 5.
დაამყარეთ კომუნიკაცია

- *გაავრცელეთ ინფორმაცია ღონისძიების შესახებ, სოციალური მედიითა თუ ადგილობრივი მედიასაშუალებებით (რადიო, ტელევიზია);*
- *განათავსეთ საინფორმაციო აფიშები საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში;*
- *მიაწოდეთ ინფორმაცია მშობლებს.*

ნაბიჯი 6.
დაიცავით უსაფრთხოება

- *გამოყავით უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები;*
- *თუ ღონისძიება მასშტაბურია, შეგიძლიათ, ინფორმაცია მიაწოდოთ ადგილობრივ საგანგებო დახმარების სამსახურებსაც - პოლიციასა და სასწრაფო დახმარებას.*

ნაბიჯი 7.
ჩაატარეთ ღონისძიება

- ღონისძიება წარმართეთ შემუშავებული გეგმის მიხედვით, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, გამოიჩინეთ მოქნილობაც.

ნაბიჯი 8.
შეაფასეთ ღონისძიება

- მონაწილეებისგან მოითხოვეთ უკუკავშირი, მაგალითად, კმაყოფილების დონის მოკლე კითხვარის შევსებით;
- გაანალიზეთ ღონისძიების წარმატებული და წარუმატებელი ნაბიჯები, რათა მომდევნო ღონისძიება უკეთესად დაგეგმოთ.



ქვემოთ წარმოდგენილია სათემო ღონისძიების მოსამზადებლად საჭირო ფორმების ნიმუშები, რომლებიც შეგიძლიათ, მოარგოთ თქვენს ინიციატივებს.

ღონისძიების მომზადების გეგმა

კატეგორია	აქტივობა	პასუხისმგებელი პირები	დრო/ თარიღი	საჭირო რესურსები	შენიშვნები
მზადება	მიზნის განსაზღვრა	დირექტორი, საორგანიზაციო გუნდი	2 კვირით ადრე	ოთახი შეხვედრისათვის	მიზანი განსაზღვრავს თემას
	თემის შერჩევა	მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობა	2 კვირით ადრე	იდეების სია	"წიგნის ფესტივალი" "ადამიანის უფლებათა დღე"
	ბიუჯეტის შედგენა	ბუღალტერი, მშობელთა ჯგუფი	10 დღით ადრე	ბიუჯეტის ფორმა	სპონსორთა მოძიება
	მოხალისეთა განაწილება	მასწავლებლები, მოსწავლეები	7 დღით ადრე	მოხალისეთა სია, დავალებების გეგმა	დაკავშირება სკოლის კურსდამთავრებულებთანაც

შენიშვნა:

დაგეგმვისას, გაითვალისწინეთ გამჭოლი საკითხებიც: გენდერული მეინსტრიმინგი, ხელმისაწვდომობა შშმ პირებისთვის, ბავშვთა უსაფრთხოება, გარემოსდაცვითი საკითხები, ციფრული უსაფრთხოება და ა. შ.

ღონისძიების ბიუჯეტი

კატეგორია	ტიპი	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	ჯამი (ლარი)
დეკორაციები და გაფორმება	ბანერები, ბუშტები, პლაკატები	1 ნაკრები	150	**150**
	სცენის დეკორაცია	1 ნაკრები	200	**200**
ტექნიკა	ხმის აპარატურა (ქირაობა)	1	300	**300**
	განათება (საჭიროების შემთხვევაში)	1	200	**200**
პროგრამა	პრიზები ბავშვებისათვის	10 ც	20	**200**
	სერთიფიკატები	30 ც	1	**30**
სტენდები და აქტივობები	შემოქმედებითი პავილიონის მასალები	1 ნაკრები	120	**120**
	მასალები სახის მოსახატად	1 ნაკრები	50	**50**
	სპორტული ინვენტარი	1 ნაკრები	80	**80**
ქველმოქმედება/ ეკოკუთხე	ყუთები და ეტიკეტები	3	10	**30**
უსაფრთხოება	პირველადი დახმარების ნაკრები	1	40	**40**
	სარეკლამო ნიშნები	1 კომპლ.	30	**30**
საკვები და სასმელი	წყალი მონაწილეებისთვის	50 ც	1	**50**
	მცირე ხემსი	1 კომპლ.	80	**80**
სხვა	ფოტოგრაფი (სურვილისამებრ)	1	150	**150**
	გაუთვალისწინებელი ხარჯი			**100**
ჯამი:				**1,800 ლარი**

სკოლის Facebook-ის გვერდზე გამოქვეყნებული პოსტი ღონისძიების შესახებ

გეპატიჟებით სკოლის სათემო ფესტივალზე!

მეგობრებო, მოსწავლეებო, მშობლებო და ჩვენი სკოლის მხარდამჭერებო, ერთად გავატაროთ ეს სიხარულითა და თანადგომით სავსე დღე! 💛

თარიღი: [მიუთითეთ]

დრო: [მიუთითეთ]

ადგილი: [სკოლის ნომერი/სახელი]

რას გთავაზობთ?

- კონცერტი მოსწავლეების მონაწილეობით
- შემოქმედებითი სტენდები
- გასართობი და სპორტული აქტივობები
- ეკო და საქველმოქმედო კუთხეები
- ოჯახური კაფე-სტენდები
- ფოტოზონა

შემოგვიერთდით და მხარი დაუჭირეთ ჩვენს მოსწავლეებს, ერთობლივ ინიციატივებს და სკოლის განვითარებას. ერთად შევქმნათ დაუვიწყარი დღე! 🌈

#სკოლისფესტივალი #სათემოღონისძიება #ჩვენერთად

შეფასების ფორმა

ღონისძიების დასახელება: ..... ***თარიღი:*** .....

მონაწილე: .....

მოსწავლე ..... ☐

მასწავლებელი ☐

მშობელი ..... ☐

სტუმარი ..... ☐

1. როგორ იყო ორგანიზებული ღონისძიება?

☐ ძალიან კარგი

☐ კარგი

☐ საშუალო

☐ არასაკმარისი

2. რომელი ნაწილი მოგეწონათ ყველაზე მეტად?

.....

.....

3. რისი გაუმჯობესება შეიძლება მომავალში?

.....

.....

4. რამდენად ინფორმირებულად გრძნობდით თავს ღონისძიებამდე?

☐ სრულად

☐ საკმარისად

☐ ნაწილობრივ

☐ არანაირად

5. რეკომენდაციები ან დამატებითი კომენტარები:

.....

.....

როგორ შევქმნათ სკოლის კურსდამთავრებულთა ქსელი

პრაქტიკული რესურსი
სკოლებისთვის



2026

შესავალი

გზამკვლევი სკოლებს დაეხმარება, რომ გრძელვადიანად და მდგრადად ითანამშრომლონ კურსდამთავრებულებთან მოსწავლეთა მხარდასაჭერად. რესურსი მოიცავს პრაქტიკულ ნაბიჯებსა და რეკომენდაციებს კურსდამთავრებულთა ქსელის შესაქმნელად.

1. რატომ უნდა ითანამშრომლოს სკოლამ კურსდამთავრებულებთან?

კურსდამთავრებულს, როგორც სასკოლო თემის ნაწილს, ხშირად ძალიან უმარტივდება საერთო ენის გამონახვა მოსწავლეებთან, მათი მოტივაციის ამაღლება და ჩვენება, თუ რისი მიღწევა შეუძლიათ.

ქვემოთ წარმოდგენილია კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითი:

მენტორობა და კარიერული მხარდაჭერა

- პროფესიული მიმართულებების გაცნობა მოსწავლეებისთვის;
- უნივერსიტეტებში/პროფესიულ სასწავლებლებში ჩაბარების გამოცდილების გაზიარება;
- მონაწილეობა კარიერული დღეებში.

სასწავლო რესურსების ან პროგრამების შექმნა

- მასტერკლასების ჩატარება;
- სკოლის პროექტებში თანამშრომლობა.

სასკოლო ღონისძიებებში მონაწილეობა

- ჩართვა შეხვედრებში, კონკურსებსა და სპორტული ღონისძიებებში;
- ჩართვა სკოლისთვის მნიშვნელოვანი დღეების ორგანიზებაში.

სკოლის ინფრასტრუქტურის მხარდაჭერა

- დახმარება მცირე სარემონტო სამუშაოებში, ასევე, ტექნიკისა ან ინვენტარის შეძენაში;
- წიგნების გადაცემა სკოლის ბიბლიოთეკისთვის.

პროფესიული კავშირების გაზიარება

- პარტნიორობათა ჩამოყალიბება კომპანიებთან, რომლებშიც მუშაობენ;
- სტაჟირებისა ან დასაქმების შესაძლებლობათა შეთავაზება მოსწავლეებისთვის.

2. გეგმის შედგენა

სკოლის შიდა კულტურა და მოსწავლეთა საჭიროებები მნიშვნელოვნად გასაზღვრავს კურსდამთავრებულთა ქსელის მიზნებსა და აქტივობებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, მის შექმნამდე, ჩამოაყალიბოთ, რისი მიღწევა გსურთ და რა უნდა იყოს ქსელის ძირითადი ფოკუსი.

სკოლის პერსონალსა და სამეურვეო საბჭოს წევრებთან მსჯელობის შედეგად:

განსაზღვრეთ პასუხისმგებელი პირი:

ქსელს აუცილებლად უნდა ჰყავდეს კოორდინატორი, რომელიც ხელს შეუწყობს მის ოპერირებას და გაავრცელებს ქსელზე ინფორმაციას როგორც სკოლის შიგნით, ისე თემში. ეს შეიძლება იყოს სკოლის თანამშრომელი, რომელიც გამოირჩევა კომუნიკაციის უნარებით, აქტიური კავშირით მოსწავლეებთან და მათი საჭიროებებისა თუ ინტერესების ცოდნით.

შეიმუშავეთ წლიური სტრატეგია:

შეგიძლიათ, ეს დაიწყოთ სკოლის ღონისძიებებისა და გეგმების გადახედვით. განსაზღვრეთ, უკვე დაგეგმილ რომელ ღონისძიებასა ან აქტივობაში შეიძლება კურსდამთავრებულთა ჩართვა და რა მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ მათ ამ პროცესში.

ცნობიერების ამაღლება სასკოლო საზოგადოებაში:

სასკოლო თემის წევრების, მასწავლებლების, მშობლებისა და ტექნიკური პერსონალის ცნობიერების ამაღლება კურსდამთავრებულთა ქსელის შექმნაზე ხელს შეუწყობს ინფორმაციის გავრცელებას, რაც, თავის მხრივ, დაგეხმარებათ მოხალისე კურსდამთავრებულთა მოზიდვაში.

თითოეული სკოლა და თემი განსხვავდება დანარჩენებისგან, შესაბამისად, თავად უნდა იპოვოთ ყველაზე ეფექტიანი გზა მათი ცნობიერების ასამაღლებლად. თუმცა, ქვემოთ შემოთავაზებულია რამდენიმე იდეა:

- შექმენით ბანერი კურსდამთავრებულთა ქსელის შესახებ, რომელსაც გამოაკრავთ სკოლის შესასვლელში, რეგისტრაციის ან გაწევრიანების წესის მითითებით;
- იდეა განიხილეთ სკოლის პედაგოგებთან და ჰკითხეთ, სასწავლო გეგმის რომელ ნაწილში ისურვებდნენ მოხალისე კურსდამთავრებულთა ჩართვას: მასწავლებლებს ხშირად აქვთ კავშირი ყოფილ მოსწავლეებთან და კარგად იცნობენ მათ უნარებს;
- თუ სკოლაში უკვე დაგეგმილია რამე ღონისძიება, ეს შესაძლებლობა გამოიყენეთ კურსდამთავრებულთა ქსელზე ინფორმაციის გასავრცელებლად.



3. ქსელის შექმნა

პირველი ნაბიჯის სახით, შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს: აუხსენით, რომ ქმნით კურსდამთავრებულთა ქსელს და ჩაინიშნეთ საკონტაქტო ინფორმაცია, თუკი გამოხატავენ მოხალისეებად ჩართვის სურვილს. ამასთანავე:



1. შექმენით ელექტრონული სარეგისტრაციო ფორმა;
2. ელფოსტის ან ტელეფონის მეშვეობით, დაუკავშირდით ყოფილ მოსწავლეებს, რომელთა საკონტაქტო ინფორმაციაც გაქვთ;
3. გაავრცელეთ ინფორმაცია სოციალური მედიის მეშვეობით (მაგ: სკოლის facebook-ის გვერდზე და ჩატებში);
4. შექმენით მოკლე ვიდეორგოლი, რომელსაც სოციალურ მედიაში ან სკოლის ვებგვერდზე განათავსებთ კურსდამთავრებულთა მოსაზიდად;
5. სთხოვეთ მასწავლებლებს, ინფორმაცია გაავრცელონ მშობლებს შორისაც, რომლებიც ხშირად ამავე სკოლის კურსდამთავრებულები არიან;
6. ამობეჭდეთ სარეგისტრაციო ფორმები და დაარიგეთ სკოლის ღონისძიებებზე;
7. განათავსეთ საინფორმაციო პლაკატები თემის თავშეყრის ადგილებში;
8. გაავრცელეთ ინფორმაცია ადგილობრივ უნივერსიტეტებსა და პროფესიულ სასწავლებლებში.

4. კურსდამთავრებულებთან კომუნიკაცია

- მიაწოდეთ კურსდამთავრებულებს ინფორმაცია სკოლის ღონისძიებებსა და მიღწევებზე. გაუგზავნეთ მოსაწვევები და წლიური შემაჯამებელი წერილები;
- შესთავაზეთ ჩართვა სასკოლო ღონისძიებებსა და აქტივობებში. დროულად მიაწოდეთ ინფორმაცია მათ როლსა და წვლილზე ამ პროცესებში;
- მიულოცეთ მნიშვნელოვანი დღეები და გადაუხადეთ მადლობა მხარდაჭერისთვის.
- აუცილებლად გააცანით სკოლის შინაგანაწესი; ასევე, განუმარტეთ *(და წერილობითაც მიაწოდეთ)* შემდეგი წესები:

- ყოველთვის პროფესიონალურად მოიქცეთ მოსწავლეებთან და დარწმუნდით, რომ თქვენ მიერ მიწოდებული ინფორმაცია შეესაბამება ასაკობრივ ჯგუფს;
- პირადი შეტყობინებებით ან სოციალური ქსელებით კომუნიკაცია მოსწავლეებთან ნებადართულია მხოლოდ პროექტის ან სასკოლო ინიციატივის ფარგლებში. დაუშვებელია გვიან ღამით მიწერა, პირადი ფოტოების/ვიდეოების გაგზავნა და ა. შ;
- პირადი საკითხების (ურთიერთობები, ოჯახი და ა. შ.) განხილვა ან რჩევების მიწოდება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც ეს ურთიერთობა ჯანსაღია, უსაფრთხო და სკოლასთან შეთანხმებული;
- მოსწავლესთან პირადი შეხვედრები დასაშვებია მხოლოდ საჯარო, ღია გარემოში (სკოლაში, ღონისძიებაზე, ჯგუფურ აქტივობაში). კერძო სივრცეში შეხვედრა ან არასრულწლოვნის შინ მიწვევა მიუღებელია;
- აუცილებელია მკაფიო საზღვრების დაცვა მოსწავლესთან ურთიერთობისას. კურსდამთავრებული უნდა ერიდოს ზედმეტად შინაურულ, ახლობლურ ან სხვა სახის შეუფერებელ კომუნიკაციას. ფიზიკური კონტაქტი (მაგ: ხელის ჩამორთმევა) უნდა იყოს აუცილებელი, შესაბამისი და უსაფრთხო;
- თუ კურსდამთავრებული შეამჩნევს, რომ მოსწავლე არის საფრთხის ან ძალადობის ქვეშ, იგი ვალდებულია, ეს აცნობოს სკოლის თანამშრომელს.

5. სასარგებლო ნიმუშები

სარეგისტრაციო ფორმა

(შეგიძლიათ, შექმნათ ელექტრონულადაც, Google Forms-ის გამოყენებით, და გაავრცელოთ სოციალური მედიის ან სკოლის ვებგვერდის მეშვეობით)

1. სახელი და გვარი:

2. ელფოსტა:

3. ტელეფონის ნომერი:

4. სკოლის დამთავრების წელი:

5. საქმიანობა (მაგ: სტუდენტი, დასაქმებული, სხვა):

6. საქმიანობის სფერო/სასწავლო მიმართულება:

7. თქვენთვის საინტერესო აქტივობები: [შეგიძლიათ, ჩამოთვალოთ, რომელ ღონისძიებებს გეგმავთ და სთავაზობთ კურსდამთავრებულებს ჩასართავად. მაგ: მენტორობა, კარიერული ორიენტაცია, მასტერკლასი, პროექტებში მხარდაჭერა, სპონსორობა და სხვა].

შენიშვნა:

გაითვალისწინეთ, სარეგისტრაციო ფორმები შეიცავს კურსდამთავრებულთა პერსონალურ ინფორმაციას. სათანადოდ შეინახეთ ეს მონაცემები და არ გაავრცელოთ უნებართვოდ.



განცხადებები სოციალურ ქსელში

გახსოვდეთ, სოციალური მედია საუკეთესო გზაა კურსდამთავრებულთა ქსელის წარმოსაჩენად და მოხალისეთა მოსაზიდად. ქვემოთ წარმოდგენილია რამდენიმე მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მისი გამოყენება:

განცხადება სკოლის Facebook-ის გვერდზე:

1 — ყოფილ მოსწავლეებს შეუძლიათ ახალგაზრდების მომავლის დადებითად შეცვლა, მათი თავდაჯერებულობისა და მოტივაციისა გაზრდა და დახმარება უნარების განვითარებაში. თუ თქვენ [სკოლის სახელი]-ში სწავლობდით, დარეგისტრირდით კურსდამთავრებულთა ქსელში და შთააგონეთ მომავალი თაობა: [რეგისტრაციის ფორმის ბმული]

2 — გსურთ, შეცვალოთ [სკოლის სახელი]-ის მოსწავლეთა ცხოვრება? გაწევრიანდით ჩვენს კურსდამთავრებულთა ქსელში და მხარი დაუჭირეთ მოსწავლეებს წარმატების მიღწევაში: [რეგისტრაციის ფორმის ბმული]

კურსდამთავრებულთა ბაზა /დირექტორია

მნიშვნელოვანია, შექმნათ და პერიოდულად განაახლოთ კურსდამთავრებულთა მონაცემების ბაზა, სადაც აღრიცხავთ მოხალისეთა მონაცემებს, საქმიანობას, ინტერესის სფეროებს და განხორციელებულ აქტივობებს. შეგიძლიათ, გამოიყენოთ მონაცემთა ბაზის ეს ნიმუში:

კურსდამთავრებულთა
მონაცემთა ბაზა

კურსდამთავრებულთა ქსელის აქტივობათა გეგმის მაგალითი:

1 ორგანიზება

1_1

ჯგუფის ფორმირება:

- შექმენით სამუშაო ჯგუფი/კომიტეტი 5-10 აქტიური კურსდამთავრებულისგან;

ქსელის წევრთა რაოდენობიდან გამომდინარე, საქმიანობის უკეთ ორგანიზებისათვის, რეკომენდებულია თავმჯდომარის, მოადგილისა და კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა. ამ პოზიციებზე წარმომადგენლებს თავად ქსელის წევრები ირჩევენ, ხმის მიცემის საფუძველზე;

- კომუნიკაციისთვის გამოიყენეთ Facebook-ის ჯგუფი, WhatsApp ან სხვა ქსელები.

1_2

სკოლის საჭიროებათა შეფასება:

- გამართეთ სამუშაო შეხვედრა დირექტორთან, მასწავლებლებსა და სამეურვეო საბჭოსთან;

- განსაზღვრეთ პრიორიტეტები (მაგ: მოსწავლეთა უნარების განვითარება, ტექნიკის შეძენა, გარემოს მოწესრიგება და ა. შ.).

1_3

წლიურ აქტივობათა კალენდრის შექმნა:

- ჩამოაყალიბეთ აქტივობები, გამოვლენილი პრიორიტეტების შესაბამისად (მაგ: მენტორობა, სხვადასხვა ღონისძიების გამართვა, ინფრასტრუქტურის მოწესრიგება).

2 აქტივობების განხორციელება

2_1

სამუშაო შეხვედრების გამართვა მოსწავლეებისთვის, კურსდამთავრებულთა მენტორობით:

- საუბრები სხვადასხვა თემაზე: პროფესია, საჭირო უნარები, გამოცდებისთვის მზადება, ლიდერობა, დემოკრატია და მოქალაქეობა, თანასწორობა და ინკლუზია;
- 2-3 შეხვედრა სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელ კურსდამთავრებულებთან.

2_2

თემატური დღეების ორგანიზება სხვადასხვა საკითხზე:

- საკუთარი პროფესიების გაცნობა კურსდამთავრებულთა მიერ;
- რჩევები გამოცდების ჩასაბარებლად;
- მცირე პროფესიული ვორქშოპები (მაგ: დიზაინის, ფოტოგრაფიისა და სხვა პროფესიების შესახებ);
- დემოკრატიული მოქალაქეობა და აქტივიზმი;
- მოხალისეობა;
- ადამიანის უფლებები.

2_3

სკოლის ბიბლიოთეკის გამდიდრება:

- წიგნების შეგროვება კურსდამთავრებულებისგან;
- კურსდამთავრებულთა წიგნის კუთხის ორგანიზება ბიბლიოთეკაში.

2_4

მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა მცირე ერთობლივი პროექტების განხორციელება სკოლის გარემოს გასაუმჯობესებლად. მაგალითად:

- ტექნიკური ინვენტარის შეძენა, რომელიც მოსწავლეებს დაეხმარება IT უნარების განვითარებაში;
- სკოლის ეზოს მოწესრიგება;
- სპორტული აღჭურვილობის შეძენა;
- სკოლის გარემოს ხელმისაწვდომობის გაზრდა (გარემოს ადაპტაცია).

2_5

ფონდების მოძიება ან მცირე კამპანიის ორგანიზება“

- ონლაინკამპანიის გამართვა კურსდამთავრებულთა მხარდაჭერით (FB/Instagram);
- მიზნობრივი თანხის შეგროვება კონკრეტული პროექტისთვის.

2_6

სკოლის ღონისძიებებში მონაწილეობა:

- დახმარება კონცერტის, გამოფენის, ფილმის ჩვენების ან ლაშქრობის ორგანიზებაში;
- ჩართვა შემეცნებით-საგანმანათლებლო აქტივობაში, მაგალითად, დისკუსიასა ან თემატურ შეხვედრაში.

2_7

„წლის აქტიური კურსდამთავრებულის“ ნომინირება და შემაჯამებელი ღონისძიების გამართვა

- ქსელის საქმიანობის შედეგების წარდგენა;
წლის კურსდამთავრებულის გამოვლენა და დაჯილდოება (სიმბოლური საჩუქრის გადაცემით);
- მომავალი წლის იდეების დაგეგმვა;
- ახალ წევრთა მოტივაციის გაზრდა და ტრადიციების ჩამოყალიბება;
- მხარდამჭერ კურსდამთავრებულთა ფოტოისტორიების წარმოჩენა სკოლის Facebook-ის გვერდზე, რუბრიკით „ჩვენი სკოლის მეგობარი“.

მშობელთა ჩართულობა და ინკლუზიური პრაქტიკები

2026

პრაქტიკული
ინსტრუმენტები

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობისთვის



2026

შესავალი

სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობას მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევენ საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ჩართული სპეციალისტები, მასწავლებლები, საგანმანათლებლო ორგანიზაციები და თავად მშობლები. საერთაშორისო დონეზე ბევრი სამეცნიერო კვლევა, სტატია და სახელმძღვანელო არსებობს ამ საკითხის შესახებ.

საქართველოში მსგავსი რესურსების (*როგორც თარგმნილი, ისე დაწერილი*) სიმწირის მიუხედავად, უკანასკნელ წლებში იზრდება ყურადღება ამ მიმართულებით: დაიბეჭდა სტატიები, ჩატარდა რამდენიმე კვლევა და გამოიცა გზამკვლევები/სახელმძღვანელოები.

წინამდებარე გზამკვლევში წარმოდგენილი პრაქტიკული ინსტრუმენტები ეფუძნება როგორც საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ლიტერატურას, მოდელებსა და სტრატეგიებს, ისე ქართულ ენაზე მომზადებულ რესურსებს, რომელთა უმრავლესობაც ინტეგრირებულია გზამკვლევში წარმოდგენილ ერთ-ერთ ინსტრუმენტში.



პრაქტიკული ინსტრუმენტები სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩასართავად

1 სკოლის თვითშეფასების კითხვარი

მიზანი



ამ ინსტრუმენტის მიზანია, სკოლამ სისტემურად და ობიექტურად შეაფასოს თავისი საქმიანობა მშობლების *(მათ შორის, მამების)* ჩართულობის გასაძლიერებლად და ინკლუზიური სასკოლო გარემოს შესაქმნელად; ასევე, გამოავლინოს სკოლის ძლიერი მხარეები და ხარვეზები ამ მიმართულებით.

აღწერილობა



კითხვარის სტრუქტურა და შინაარსი ეფუძნება ჯოის ლ. ეპშტეინის მიერ შემუშავებულ და ფართოდ გავრცელებულ მოდელს [1], რომელიც გამოყოფს ექვს კომპონენტს: მშობლობა, კომუნიკაცია, მოხალისეობა, შინ მეცადინეობა, გადაწყვეტილების მიღება, თანამშრომლობა სკოლასა და საზოგადოებას/თემს შორის.

შესაბამისად, კითხვარში წარმოდგენილია ექვს თემატურ კატეგორიად (*სექციად*) გაერთიანებული დებულებები, რომლებიც აღწერს კონკრეტულ აქტივობებს და, ფაქტობრივად, მრავალფეროვან იდეათა ბანკია სკოლებისთვის. სკოლას შეუძლია, შეაფასოს, ახორციელებს თუ არა თითოეულ ამ აქტივობას (*და რა პერიოდულობით*). გარდა ამისა, კითხვარში ჩაშენებული ჰიპერბმულებით [2] შესაძლებელია შესაბამის რესურსებზე (*სტატია, სახელმძღვანელო და ა. შ.*) გადასვლაც. ეს კომპონენტი კითხვარს ერთგვარი გზამკვლევის ფუნქციასაც ანიჭებს და ხელს უწყობს სკოლის თანამშრომელთა კომპეტენციების ამაღლებას სხვადასხვა საკითხზე.

---

[1] მშობელთა ჩართულობის მოდელზე დეტალური ინფორმაციის მისაღებად,სასარგებლოა შემდეგი სახელმძღვანელოსა და სტატიის გაცნობა: კავთუაშვილი, მ., და სხვები. (2024). მშობელთა ჩართულობა სკოლაში. ააიპ „მშობლები განათლებისთვის.“ „მშობლები განათლებისთვის“. USAID. https://mshobeltaskola.ge/wp-content/uploads/2025/02/A5_P4E_WEB.pdf
სილაგაძე, თ. (2023). მშობელთა ჩართულობა სასკოლო განათლებაში - კონცეპტუალური ჩარჩო და გლობალური ტენდენციები. სკოლის მართვა (1), 11. https://educationhouse.ge/storage/books/Skolis-Martva-2023-1_798.pdf

სილაგაძე, თ. (2023). მშობელთა ჩართულობა სასკოლო განათლებაში - კონცეპტუალური ჩარჩო და გლობალური ტენდენციები. სკოლის მართვა, (1), 11. https://educationhouse.ge/storage/books/Skolis-Martva-2023-1_798.pdf

[2] შენიშვნა: პილოტირების ეტაპზე, ჰიპერბმულები ჩასმულია მხოლოდ კითხვარის Excel-ის ვერსიაში და არ არის გადატანილი ელექტრონულ ვერსიაში.



ამ კითხვარის მეშვეობით, სკოლა მარტივად, სტრუქტურირებულად და რეგულარულად შეაგროვებს, გააანალიზებს და გამოიყენებს მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას - როგორც შიდა მონიტორინგისთვის, ისე სამოქმედო გეგმების შესამუშავებლად.

რეკომენდებულია, კითხვარი სასწავლო წლის ბოლოს შეავსოს ამ მიმართულებით მომუშავე მასწავლებელთა/ლიდერთა გუნდმა. სკოლის სპეციფიკიდან ან საჭიროებებიდან გამომდინარე, ის შეიძლება შეავსოს სკოლის დირექციამ, კლასის დამრიგებელმა, რიგითმა მასწავლებელმა ან სხვა სპეციალისტმაც. თითოეულ დაწესებულებას შეუძლია, თვითონ განსაზღვროს თვითშეფასების პროცესში მონაწილე თანამშრომელთა ვინაობა და რაოდენობა. თუმცა მნიშვნელოვანია, სკოლაში არსებობდეს მშობლებთან კომუნიკაციაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს პროცესს და იზრუნებს შედეგების გაანალიზებაზე.

ინსტრუქცია

კითხვარის ელექტრონული ვერსია შემუშავდა ხელოვნური ინტელექტის დახმარებით (Gemini AI) და მისი გამოყენება შეუძლია ნებისმიერ სკოლას, შემდეგი ბმულის მეშვეობით: *LINK*

ბმულზე გადასასვლელად და კითხვარზე წვდომის მისაღებად, **აუცილებელია**, ბრაუზერში შეხვიდეთ თქვენი ავტორიზებული Gmail-ის ანგარიშით.

კითხვარში შეტანილი ინფორმაცია (*თქვენ მიერ გაცემული პასუხები*) სრულად კონფიდენციალურია, ვინაიდან მიმდინარე სესიის შემდეგ ავტომატურად იშლება.

შენიშვნა: კითხვარის შევსებამდე, არ გათიშოთ მიმდინარე სესია, დასრულების შემდეგ კი აუცილებლად ჩამოტვირთეთ გენერირებული მონაცემები და შეინახეთ თქვენთვის სასურველი ფორმატით (*Excel-ის ან PDF დოკუმენტის სახით*).

სკოლას შეუძლია სრული კითხვარის ან მისი რომელიმე სექციის შევსება, სურვილისა და საჭიროების მიხედვით.

კითხვარის შევსების შემდეგ, ეკრანზე გამოვა მონაცემები, რომლებიც დაჯგუფებულია სექციების მიხედვით; ასევე გათვალისწინებულია ამ სექციებში ჩასმულ აქტივობათა განხორციელების სიხშირე (*მაგ: ყველა სექციისთვის ცალ-ცალკე დაჯგუფდება აქტივობები, რომლებსაც სკოლა თითქმის არასდროს, იშვიათად ან ხანდახან ახორციელებს*).

ბუნებრივია, მონაცემთა მსგავსად კატეგორიზება შესაძლებელია ჩამოტვირთული Excel-ის დოკუმენტშიც, ფილტრის ფუნქციის გამოყენებით.

2 მშობელთა საჭიროებების, ინტერესებისა და ჩართულობითვის მზაობის საკვლევი კითხვარი

მიზანი



ზოგჯერ სკოლები სათანადოდ ვერ იყენებენ მშობელთა პოტენციალს, რადგან, ერთი მხრივ, თავად დაწესებულებას არ აქვს საკმარისი ინფორმაცია მათ უნარებზე, შესაძლებლობებსა და ინტერესებზე, მეორე მხრივ კი მშობლებიც ვერ ხედავენ, თუ როგორ და როდის შეუძლიათ მონაწილეობა. შედეგად, მშობელთა ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში უმეტესად სპონტანური, შემთხვევითი და არათანმიმდევრულია.

კითხვარის მიზანია, სისტემურად, სწრაფად და სტრუქტურირებულად შეაფასოს მშობელთა საჭიროებები, ინტერესები და მზაობა სასკოლო ცხოვრებაში ჩასართავად.

თუნდაც სკოლას არ შეეძლოს რომელიმე აქტივობის რეალურად შეთავაზება, რეკომენდებულია, ის მაინც შეიტანოს კითხვარში: რაც უფრო მრავალფეროვანია არჩევანი, მით უფრო სრულყოფილი სურათი შეიქმნება მშობელთა ინტერესებისა და საჭიროებების შესახებ.

გამოკითხვის შედეგების წარდგენა-განხილვის ეტაპზე, სკოლას შეუძლია, განუმარტოს მშობლებს, რომ მაღალი საჭიროებისა ან ინტერესის მიუხედავად, ამ დროისათვის არსებული რესურსებით (დროითი, ადამიანური ან ფინანსური), შეუძლებელია კონკრეტული აქტივობის განხორციელება, თუმცა სამომავლოდ გაგრძელდება მუშაობა ამ მიმართულებით.

პრაქტიკული იქნება, თუ კითხვარის შევსებას ორგანიზებას გაუწევენ კლასის დამრიგებლები. პროცესის გასამარტივებლად, უმჯობესია, მშობლებს თითოეული ბლოკი ცალ-ცალკე შესთავაზოთ შესავსებად (იხ. ქვემოთ, „კითხვარის აღწერა“).

აღწერილობა

ეს კითხვარი შეესაბამება სკოლის თვითშეფასების კითხვარს და წარმოდგენილია მარტივად შესავსები ინსტრუმენტის სახით, რომელიც მოიცავს ორ ბლოკს:



მშობელთა საჭიროებები და მოლოდინები: მშობელს შეუძლია, მიუთითოს მისთვის მოსახერხებელი ფორმები სკოლასთან კომუნიკაციისთვის, ასევე, რა სახის მხარდაჭერას ისურვებდა სკოლისგან, როგორც შვილის სწავლა-განვითარებისა და ფსიქოლოგიური კეთილდღეობისთვის, ასევე თავისი (როგორც მშობლის) გაძლიერებისთვის;

მშობლის ინტერესები და ჩართულობის მზაობა: მშობელს შეუძლია, კითხვარში წარმოდგენილი მრავალფეროვანი აქტივობებიდან მონიშნოს ის ღონისძიებები, რომლებშიც ჩაერთვებოდა მოხალისედ.

თითოეული ბლოკისთვის წარმოდგენილია ცალკე ინსტრუქცია, იმ შემთხვევისთვის, თუ დამოუკიდებელი კითხვარის სახით გამოიყენება.



ინსტრუქცია

ორივე ბლოკის შევსებას მშობელი იწყებს მცირე დემოგრაფიული მონაცემების მითითებით, რაც სკოლას დაეხმარება მონაცემთა დეტალიზებულად და სიღრმისეულად გაანალიზებაში.

პირველი ბლოკში მშობელმა თითოეულ დებულებასთან უნდა მონიშნოს, რამდენად ეთანხმება/არ ეთანხმება მას.

მეორე ბლოკში მშობელმა თითოეულ აქტივობასთან უნდა მიუთითოს, დაინტერესებულია თუ არა ჩართულობით და რა ხარისხითა და მოდალობით (*პირისპირ თუ დისტანციურად*) ისურვებდა მონაწილეობას. Excel-ის დოკუმენტის სახით წარმოდგენილ კითხვარში მოდალობის მოსანიშნი გრაფა გამოყოფილია ყველა დებულების გვერდით, თუმცა ელექტრონულ ვერსიაში (*Google forms*), პასუხების რაოდენობის გაზრდის გამო, ამ საკითხზე თითოეული სექციის ბოლოს ერთი კითხვაა დასმული: „დაინტერესების შემთხვევაში, ძირითადად, რა მოდალობით ისურვებდით აქტივობებში ჩართვას - პირისპირ (*ფიზიკურად*), თუ დისტანციურად (*ონლაინ*)?“

მშობლის საჭიროებებზე მოსარგებად, მნიშვნელოვანია, სკოლამ კითხვარის ადმინისტრირება შესთავაზოს სხვადასხვა ფორმით (*როგორც ელექტრონულად, ასევე ბეჭდური სახით*), ზოგჯერ კი გაუწიოს დახმარებაც: სკოლის წარმომადგენელი ზეპირად განუმარტავს მშობელს კითხვარის შევსების ინსტრუქციას, თუ საჭიროა, ხმამაღლა წაუკითხავს დებულებებს (*სასურველ პასუხებზე მინიშნების გარეშე*) და თვითონვე მონიშნავს კითხვარში პასუხებს. შესაძლებელია, სკოლამ მშობლებს ბლოკები ერთმანეთისგან დამოუკიდებელი ორი კითხვარის სახით შესთავაზოს.

3 მშობელთა კალენდარი



მიზანი

ამ რესურსს აქვს ორი მთავარი მიზანი:



1. სკოლის მიერ დაგეგმილი ინიციატივებისა და აქტივობების ორგანიზება წინასწარ განსაზღვრული ფორმატით და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
2. ყველა დაინტერესებული მხარის დროული ინფორმირება ჩართულობის მრავალფეროვან შესაძლებლობებზე, რათა მონაწილეობა თადარიგიანად დაიგეგმოს.

აღწერილობა და ინსტრუქცია



რესურსი წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით და მარტივად აღსაქმელი ფორმატით. სკოლას *(კლასის დამრიგებელს ან ნებისმიერ თანამშრომელს)* შეუძლია, კალენდარში ჩაწეროს წინასწარ დაგეგმილი საერთო სასკოლო აქტივობები, ან კონკრეტულ კლასში განსახორციელებელი ინიციატივები, და გაუზიაროს მშობელთა შესაბამის ჯგუფს *(ყველა მათგანს, კონკრეტული კლასის მშობლებს, ან რაიმე საქმიანობისთვის გაერთიანებულ გუნდს).*

კალენდრის გაზიარება მშობლებთან შესაძლებელი უნდა იყოს როგორც ბეჭდურად, ისე ელექტრონული ფორმით, რათა ყველას ჰქონდეს წვდომა მასზე. ბეჭდურ ვერსიაში შეიძლება აისახოს მხოლოდ აქტივობის დასახელება, შინაარსზე ინფორმაცია კი მშობელს მიეწოდოს ზეპირად, ან ცალკე საინფორმაციო ფურცლის სახით.



კალენდრის ელექტრონული ვერსია ბევრად ინფორმაციული და მოქნილი უნდა იყოს: თითოეული აქტივობის გვერდით, გრაფაში ჩასმულ სარეგისტრაციო ბმულზე გადასვლისას, ეკრანზე უნდა გამოვიდეს აქტივობის მოკლე აღწერილობა, მიზანი, ფორმატი, ხანგრძლივობა, პოტენციურ მონაწილეთა სტატუსი (*ვის შეუძლია ჩართვა - მხოლოდ მშობლებს, მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, თუ, მაგალითად, მოწვეულ სტუმრებსაც*) და მათი სავარაუდო რაოდენობა. ამ ინფორმაციის ქვემოთ, მშობელს უნდა შეეძლოს თავისი სახელისა და გვარის ჩაწერა, ასევე, მითითება, რა ხარისხით სურს ჩართულობა ამ აქტივობაში (*მაგ: ზოგი შეიძლება ჩაერთოს როგორც ორგანიზატორი, რიგითი შემსრულებელი, ან პასიური მონაწილე/დამკვირვებელი/მაყურებელი*). ამგვარად, მშობლები შეძლებენ, წინასწარ შეაფასონ საკუთარი შესაძლებლობები და ინტერესები და დაგეგმონ მონაწილეობა კონკრეტულ ღონისძიებაში.



შესაძლებელია, სკოლამ მხოლოდ მასწავლებლებისთვისაც შექმნას კალენდრის ანალოგიური ვერსია, რომელსაც, გარდა ჩამოთვლილი საკითხებისა, დაემატება აქტივობის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის სახელი და გვარი. ასეთ კალენდარში, აქტივობაზე დაწკაპუნებით, შესაძლებელი უნდა იყოს გადასვლა შესრულებაზე მონიტორინგის ფაილზე, სადაც პასუხისმგებელი პირი, შესაბამისი სიმბოლოს ან ფერის გამოყენებით, მონიშნავს აქტივობის შესრულების სტატუსს (*არ დაწყებულა, პროცესშია, დასრულებულია, შეჩერებულია, შეწყვეტილია*). ეს შესაძლებლობას მისცემს მშობელთა ჩართულობაზე მომუშავე მასწავლებელთა/ლიდერთა გუნდს, თვალი მიადევნოს აქტივობათა განხორციელებას და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დახმარება შესთავაზოს პროცესზე პასუხისმგებელ პირს.

ინსტრუმენტთა გამოყენება, ურთიერთკავშირი და მოსალოდნელი შედეგები

თვითშეფასების კითხვარის გამოყენებით, სკოლა მიიღებს ობიექტურ მონაცემებზე დაფუძნებულ სურათს მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის შესახებ. ეს ხელს შეუწყობს სკოლის ძლიერი მხარეების განმტკიცებას, პრობლემურ სფეროთა დროულად გამოვლენას და უფრო მიზნობრივი და ეფექტიანი ღონისძიებების დაგეგმვას.

ამასთან, სკოლას ექნება ერთიანი სურათი - მშობელთა ჩართულობის ექვსი კატეგორიიდან რომელში ახორციელებს მეტ ინიციატივებს; რომელთან მიმართებით აკლია გამოცდილება; რომელი ინიციატივების განხორციელება შეუძლია რეალურად, ინდივიდუალური მახასიათებლების/სპეციფიკის გათვალისწინებით; და რამდენად შეესაბამება სკოლის ხედვები მშობელთა საჭიროებებსა თუ ინტერესებს (*როგორც აღინიშნა, ბოლო საკითხზე ინფორმაციის მიღება შესაძლებელია მშობელთა საჭიროებებისა და ინტერესების კითხვარითაც*).

ამგვარად, მნიშვნელოვანია, სკოლა აგროვებდეს ინფორმაციას მშობლების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებსა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის მამოტივირებელ ფაქტორებზე. ამ მონაცემთა გაანალიზება დაეხმარება სკოლასაც და კლასის დამრიგებელსაც, რომ მშობელი დაინახოს პარტნიორად, რომელსაც აქვს კონკრეტული შესაძლებლობები, ინტერესები და მოლოდინები სასკოლო ცხოვრებაში ჩართვის კუთხით.

მაგალითად, კითხვარის შედეგების გაანალიზებით, სკოლას ეცოდინება, რომ:



- ***100 მშობელი მზადაა*** *თემატურ ან შემოქმედებით ღონისძიებებში ჩასართავად;*
- ***80 მშობელი მზადაა,*** *მონაწილეობა მიიღოს მოსწავლეთა წარმატებების გასაზიარებელი სისტემური ფორმატის მოფიქრებასა და დანერგვაში;*

- ***65 მშობელს სურს*** *შეხვედრის ჩატარება მოსწავლეებთან, საკუთარი პროფესიის გასაცნობად და პროფესიული ორიენტაციის განსაზღვრაში დასახმარებლად;*
- ***50 მშობელი მზადაა,*** *დაეხმაროს სკოლას პროექტთა დაგეგმვა-განხორციელებაში;*

- ***400 მშობელი დაინტერესებულია*** *კონკრეტულ მიმართულებათა განვითარების ხელშეწყობით (მაგ. მეტი სპორტი, კომუნიკაცია, კლუბები, ტრენინგები პოზიტიურ მშობლობაზე და სხვა);*

- ***70 მშობელი*** *ამავე სკოლის კურსდამთავრებულია და მეტი მოტივაცია აქვს იმ ღონისძიებებში ჩასართავად, რომლებიც სასარგებლო იქნება არა მხოლოდ მათი შვილების, არამედ მთლიანად სკოლის განვითარებისათვის.*

შედეგად, სკოლა შეძლებს მონაცემებზე დაფუძნებული, უფრო რეალისტური და მიზნობრივი ინიციატივების დაგეგმვას, უკეთესად რეაგირებას მშობელთა და მოსწავლეთა საჭიროებებზე და უფრო ინკლუზიური, გენდერულად სენსიტიური სასკოლო გარემოს შექმნას. მთლიანობაში, ეს პრაქტიკა გაზრდის პარტნიორობის ხარისხს, მშობელთა ნდობას და ერთობლივ აქტივობათა ეფექტიანობას, ბავშვები კი უფრო მრავალფეროვან გამოცდილებასა და სარგებელს მიიღებენ. კერძოდ, გაჩნდება მეტი პროექტი და ღონისძიება, მეტი მოწვეული სტუმარი და, საბოლოოდ, მეტი მხარდაჭერა.



აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადი ინფორმაციის მიღება კითხვარის მეშვეობით არ არის მშობლის ჩართულობის გარანტია: შესაძლოა, მან კითხვარში გამოხატოს რომელიმე კონკრეტული აქტივობით დაინტერესება, თუმცა როდესაც განხორციელების დრო მოვა, ვერ შეძლოს მონაწილეობა რაიმე მიზეზის გამო *(მაგ. სხვა პრიორიტეტები და ვალდებულებები დაემთხვეს, შეეცვალოს ინტერესები და ა. შ.)*. ამიტომ, მნიშვნელოვანია, სკოლამ, სულ მცირე, 1-2 თვით ადრე (*სასურველია, სემესტრის დასაწყისში*) შეატყობინოს მშობლებს დაგეგმილ აქტივობათა შესახებ და, მონაწილეობის დასადასტურებლად, სთხოვოს დარეგისტრირება შესაბამისი ბმულის ან ბეჭდური ფორმის მეშვეობით. „მშობელთა კალენდარი“ სწორედ ამ საკითხის მოწესრიგებაში დაეხმარება დაწესებულებას: მას შემდეგ, რაც მშობლები დარეგისტრირდებიან, აქტივობის ორგანიზატორს ნათელი წარმოდგენა შეექმნება, რამდენი მათგანი გეგმავს პროცესში ჩართვას და რა ხარისხითა ან მოდალობით. ეს პრაქტიკა მნიშვნელოვნად შეამცირებს სკოლაში მშობელთა დაუგეგმავად და მოულოდნელად მოწვევის შემთხვევებს/საჭიროებებს და უფრო პროგნოზირებად, თანმიმდევრულ თანამშრომლობას ჩამოაყალიბებს საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ოჯახებს შორის. მთავარია, დაგეგმილი აქტივობები იყოს მრავალფეროვანი და მოერგოს კონკრეტული სკოლის მშობელთა ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, რათა თითოეულმა მშობელმა იპოვოს საკუთარი ნიშა, სკოლასთან გადაკვეთის წერტილთან ერთად. შესაბამისად, წლიურ ან სემესტრულ კალენდარში, ძირითადად, უნდა მოხვდეს ის აქტივობები, რომელთა განხორციელებაც დაიგეგმება სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით, სკოლის თვითშეფასებისა და მშობელთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით.

და ბოლოს, სამივე რესურსის კომბინირებულად გამოყენების შემთხვევაში, შესაძლებელია, თამამად ვივარაუდოთ მშობლების, მათ შორის, მამების ჩართულობისა და აქტიურობის გაზრდა, ასევე, პარტნიორობის გაძლიერება სკოლასა და ოჯახებს შორის, რაც, თავის მხრივ, დადებით ზეგავლენას იქონიებს მოსწავლეთა მიღწევებსა და ფსიქოლოგიურ კეთილდღეობაზე.

სკოლის თვითშეფასების კითხვარი და მშობლების კალენდარი

(გთხოვთ, ამ რესურსების სანახავად გადახვიდეთ ქვემოთ მითითებულ ბმულებზე)



2026



სკოლის თვითშეფასების კითხვარი შექმნილია იმისათვის, რომ სკოლებს მისცეს სტრუქტურირებული და ობიექტური ინსტრუმენტი მშობელთა (მათ შორის მამების) ჩართულობის გაძლიერებისა და ინკლუზიური სასკოლო გარემოს ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელებული ძალისხმევის მასშტაბისა და ეფექტიანობის შესაფასებლად. ის ასევე ეხმარება სკოლებს ამ მიმართულებით ძლიერი მხარეებისა და ძირითადი გამოწვევების იდენტიფიცირებაში:

კითხვარის ციფრული ვერსიის ბმული:

https://gemini.google.com/share/ee363b9a642c

მშობლების კალენდარი

მშობლების კალენდარს აქვს ორი ძირითადი მიზანი:



- სკოლის მიერ დაგეგმილი ინიციატივებისა და აქტივობების წინასწარ ორგანიზება, წინასწარ განსაზღვრული ფორმატის დაცვით და გამჭვირვალობის უზრუნველყოფით;
- ყველა დაინტერესებული მხარისთვის მრავალფეროვანი ჩართულობის შესაძლებლობების შესახებ დროული ინფორმაციის მიწოდება, რაც უზრუნველყოფს მონაწილეობის კოორდინირებულ დაგეგმვას.

მშობლების კალენდრის ციფრული ვერსიის ბმული:

_Link

კალენდართან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია მოცემულია ინსტრუმენტების გამოყენების გზამკვლევში.

ქართულენოვანი რესურსების რუკა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებით



2026



ქართულენოვანი რესურსების რუკა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობასთან დაკავშირებით

რესურსები დაჯგუფებულია სკოლის თვითშეფასების კითხვართან შესაბამისობაში, რომელიც ეფუძნება **ჯოისი ეპშტეინის „სკოლა-ოჯახი-თემის პარტნიორობის“** მოდელს

მშობლობა

არაბული, ნ. (2025). *მონაცემების დაცვა და კიბერუსაფრთხოება. ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

გაგელიძე, ნ. (2023). *სკოლისა და მშობლების ურთიერთთანამშრომლობის წარმატებული საერთაშორისო პრაქტიკა.* სკოლის მართვა, (1), 11.

LINK

გაიპარაშვილის, მ. (n.d). ჩაგვრის *(ბულინგის) აღმოფხვრისა და პრევენციის სტრატეგია სკოლაში.* საქართველოს პარლამენტის კვლევითი ცენტრი.

LINK

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF). *(2021). პოზიტიური მშობლობა.*

LINK

გაეროს მოსახლეობის ფონდი საქართველოში (UNFPA) (N.D.) "*მამები ზრუნავენ.*" *კამპანია.*

LINK

გორდონი, თ. (2014). *როგორ გავხდე კარგი მშობელი.* მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

LINK

ევროპის საბჭო (2019). "*სწავლება ციფრული მოქალაქეობის შესახებ*":

LINK

კავთუაშვილი, მ., და სხვები. (2024). *მშობელთა ჩართულობა სკოლაში. ააიპ „მშობლები განათლებისთვის.“ USAID*

LINK

კავთუაშვილი, მ. (2024). *მშობლები ბულინგის წინააღმდეგ. ჟურნალი "მასწავლებელი.“*

LINK

კაპანაძე, ნ. (2019). *პირველი ნაბიჯები მრავალფეროვნების მიმღებლობისკენ. ჟურნალი "მასწავლებელი"*

LINK

კვარაცხელია, ნ. (2018). *ბულინგის თემა დაწყებით კლასებში. ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

ლაბარტყავა, ნ. (2025). *პირველი ნაბიჯები სკოლაში: ტრანზიცია და პაწია ჭიანჭველას ამბავი. ჟურნალი "მასწავლებელი".*

LINK

ლექსიკონი-ცნობარი სოციალური მეცნიერებებში (CSS). (N.D.). *აღზრდის სტილი.*

LINK

ნოზაძე ნ. (2019). *სკოლა და კიბერუსაფრთხოება. ჟურნალი "მასწავლებელი.“*

LINK

ოსიაშვილი, ქ. (2021). *უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვის განვითარების ასაკობრივ-ფსიქოლოგიური თავისებურებები. ჟურნალი მასწავლებელი.*

LINK

ოსიაშვილი, ქ. (2022). *მამის როლი ბავშვის აღზრდასა და პიროვნების ფორმირებაში. ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

ოსიაშვილი ქ. (2015). *პირველკლასელთა ადაპტაცია სკოლასთან და სასკოლო სწავლება. ჟურნალი "მასწავლებელი".*

LINK

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი, (2024). *თემატური მოკვლევის ანგარიში. მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე მათი სოციალური და ემოციური მდგომარეობის გავლენის შეფასება და არსებული მხარდამჭერი მექანიზმების ეფექტიანობა.*

LINK

ქორიძე, ნ., მალიშავა, ხ., ბერაძე, მ., ქორიძე, ს., ნათენაძე, გ., შანშიაშვილი, ნ., & თაბუკაშვილი, ხ. (2024). *პოზიტიური მშობლობა: საკითხავი მასალა მშობლებისთვის. შემუშავებულია ევროპის საბჭოს პროექტის „საქართველოში პენიტენციური სისტემის რეფორმების მხარდაჭერა საქართველოში“ პომპიდუ ჯგუფის კომპონენტის ფარგლებში.*

LINK

სიხარულიძე, მ. (N.D.). *მშობელთა გზამკვლევი ციფრულ სამყაროში. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.*

LINK

ტყეშელაშვილი, შ. *(2021). სკოლის გარემო და ფსიქიკური ჯანმრთელობა. ჟურნალი "მასწავლებელი.“*

LINK

ქურციკიძე, ლ. *(2024). სოციალური და ემოციური კომპეტენციების განვითარება სკოლაში. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბავშვის განვითარების ინსტიტუტი და კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC) სკოლა-ლაბი.*

LINK

ტრენინგის ცენტრი *(CTC) სკოლა-ლაბი.*

LINK

შანიძე, თ. *(2022). ეფექტიანი კომუნიკაცია და მისი სტრატეგიები. ჟურნალი მასწავლებელი.*

LINK

ცინცაძე, ნ., & ქურციკიძე, ლ. *(2022). პოზიტიური მშობლობა. თბილისი: განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. პუბლიკაცია დაიბეჭდება გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით.*

LINK

წულაძე, მ. (2021). *მზად ვართ პირველკლასელების დასახვედრად. ბავშვების სკოლაში ტრანზიციის მხარდაჭერის სახელმძღვანელო. ინოვაციები ინკლუზიური საზოგადოებისთვის.*

LINK

ხუნძაყიშვილი, მ. (2020) *სამართლებრივი კულტურა. PH International, ფილიალი საქართველოში.*

LINK

ხუნძაყიშვილი, მ. კაპანაძე, ზ. (2019). *კიბერდანაშაული. PH International, ფილიალი საქართველოში.*

LINK

ჯაფარიძე, მ. (2013). *მოსწავლეთა "ცუდი ქცევის" ფსიქოლოგიური მოტივები, პრევენცია, მართვა. მესამე ნაწილი. ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

BERK, L. E. (2010). *ბავშვის განვითარება* (7-ე გამოცემა, ავტორიზებული თარგმანი ინგლისური ენის გამოცემიდან, *Child Development, 7th Edition, Berk, L. E., Pearson Education, Inc., 2006).* თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

LINK

EU4DIGITA (N.D.)L. ონლაინ კურსი *„კიბერუსაფრთხოება."*

LINK

MAC GEORGIA-ს *რეკომენდაციები სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებასთან დაკავშირებით:*

LINK

MAC GEORGIA (N.D.). *ბულინგი და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები.*

LINK

WORLD VISION საქართველო, & ფსიქომეტრული და საკონსულტაციო ასოციაცია. (2019). *განათლება უკეთესი მშობლობისთვის: კრებული მშობლებისთვის.* თბილისი.

LINK

კომუნიკაცია

არევაძე, მ., დემეტრაძე, თ., კოჭაური, მ., ყაზაიშვილი, ლ., & ძამუკაშვილი, შ. (2023). *ენის, მეტყველებისა და კომუნიკაციის დარღვევის მქონე მოსწავლეთა სწავლების მეთოდოლოგია. საკითხავი მასალა კურსისთვის (მე-3 თავი).*

LINK

გახელაძე, გ. და დევნოზაშვილი რ. (2020). *სკოლებში მშობელთა ჩართულობის პრაქტიკის კვლევა. ააიპ „მშობლები განათლებისთვის.“ კონრად ადენაუერის ფონდი.*

LINK

კობახიძე, თ. (2016). *ალტერნატიული შეფასების მეთოდები: პორტფოლიო. ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

ნოზაძე, გ. (2017). *მოსწავლეთა სწავლის შეფასების სასკოლო პოლიტიკის გზამკვლევი (ნაწილი 2). ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

WASHINGTON OFFICE OF SUPER INTENDENT OF PUBLIC INSTRUCTION. (2022). *Home visit toolkit.*

LINK

მოხალისეობა

ინგოროყვა, ნ., ბონდოიძე, მ., & გაბუნია, ნ. (რედ.). (2024). *სტატიები განათლების საკითხებზე (გვ. 141). მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.*

LINK

ინკლუზიური განათლება (N.D.). *ინტერნეტ გვერდი.*

LINK

თვალაბეიშვილი, გ. (2021). *იკითხე ხმამაღლა, შეცვალე მსოფლიო! ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

კუდავა, მ. (2016, ივნისი 30). *მამები. ჟურნალი „მასწავლებელი“.*

LINK

MAC GEORGIA (N.D.). *ინკლუზიური განათლებასთან დაკავშირებული ინტერნეტ გვერდი.*

LINK

სახლში მეცადინეობა

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო (N.D.). *ტექნოლოგიური რესურსები.*

LINK

კახურაშვილი, ი. (2022). *ექსპერიმენტები ბავშვებისთვის: რეკვიზიტებს ქუჩაშიც იპოვით და სახლშიც. ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

მაჩხანელი, ნ. (2023). *ციფრული რესურსები და მათი მნიშვნელობა სასწავლო პროცესში. ჟურნალი "მასწავლებელი."*

LINK

„საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი“ (G-PRIED). (N.D.). *კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე. (I-VI კლასები).*

LINK

ურუშაძე, თ. (2016). *სახალისო მათემატიკური თამაშები სწავლების პირველ საფეხურზე. ჟურნალი "მასწავლებელი"*

LINK

უჩავა, ნ. (N.D.). *ციფრული საგანმანათლებლო რესურსი - ვსწავლობთ თამაშით.*

LINK

ხუნძაყიშვილი, მ. ბივერი, ს. (2018). *განმავითარებელი შეფასება და დიფერენცირებული სწავლება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.*

LINK

როგორ შევქმნა ვებგვერდი ჩემი სკოლისთვის?

პრაქტიკული გზამკვლევი სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის

2026



შესავალი

ევროპის საბჭოს პროგრამის ფარგლებში - „დემოკრატია იწყება სკოლაში“ - ციფრული რესურსების სამუშაო ჯგუფმა შექმნა მარტივად გამოსაყენებელი ვებგვერდის შაბლონი. რესურსი ხელმისაწვდომია ყველასთვის. მისი კოპირება და საკუთარ სკოლაზე მორგება შეუძლია ნებისმიერ მსურველს, თუნდაც მცირე დროის პირობებში.

ქვემოთ წარმოდგენილი ნაბიჯები დაგეხმარება შაბლონის ასლის:

- შექმნაში
- და შენს სკოლაზე მორგებაში

მანამდე, შეგიძლია, გადახედო შაბლონს და შეაფასო, რამდენად გამოადგება ის შენს სკოლას:



ნაბიჯების გადადგმამდე: რას გულისხმობს შიდა კომუნიკაციის პლატფორმა?

სკოლებს დღეს ხშირად აქვთ საინფორმაციო ვებგვერდი ფართო საზოგადოებისთვის - ადამიანებისთვის, რომლებიც კონკრეტული დაწესებულების შესახებ პირველად იგებენ.

ჩვენი პლატფორმის მიზანია:
ყოველდღიური კომუნიკაციის გამარტივება მოსწავლეებს, მასწავლებლებს, მშობლებსა და კურსდამთავრებულებს შორის. ეს არის სივრცე ადვილად დასანახი, ყველასთვის ხელმისაწვდომი და ცოცხალი სასკოლო პროცესებით.

თქვენთვის საჭირო ინფორმაციის ტიპებს თქვენი სკოლა განსაზღვრავს, თუმცა შაბლონი უკვე მოიცავს რამდენიმე პრაქტიკულ ვარიანტს:

გვერდი	ინტეგრირებული ინსტრუმენტი	ფუნქცია
მთავარი გვერდი	Google Slides	ღილაკები სხვა გვერდებზე გადასასვლელად და „განცხადებების დაფა“ (მაგ: „ეს კვირა ჩვენს სკოლაში“), რომელიც შეიძლება ყოველ კვირას განახლდეს.
პროექტების გვერდი	Google Sites, Padlet, Forms	ქვეგვერდები: განხორციელებული პროექტების მიმოხილვები, დაფა (Padlet) იდეების შეთავაზებისთვის და პროექტებზე რეგისტრაციის ფორმა.
მშობლების გვერდი	Google Sheets, Forms, Slides	მშობლების კალენდარი, შეკითხვების ფორმა და ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხების გვერდი (FAQ).
კურსდამთავრებულთა გვერდი	Google Forms	ინფორმაცია კურსდამთავრებულთა შესახებ და მათი რეგისტრაციის კითხვარი.
გაზეთის გვერდი	Google Forms	სტატიების გამოსაქვეყნებელი ველები და კითხვარი მათ გამოსაგზავნად.
მე შემიძლია / მე მჭირდება	Padlet	სივრცე სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის დახმარების შეთავაზებისა და მოთხოვნისთვის.

ნაბიჯი 1: ვებგვერდის კოპირება და რედაქტირების უფლების მოპოვება

1.1. Google-ის ანგარიშზე შაბლონის ასლის (Copy) შექმნა, საკუთარ სკოლაზე მოსარგებად:

გადადით სკოლის ვებგვერდის შაბლონზე;

- დააჭირეთ ღილაკს „მეტი“ (More) (ხშირად წარმოდგენილია სამწერტილის სახით) და აირჩიეთ „ასლის შექმნა“ (Duplicate site), ან „ასლი“ (Copy);
- ახალ გვერდს დაარქვით თქვენი სკოლის სახელი და დაადასტურეთ ასლის შექმნა;
- თქვენი ანგარიში ავტომატურად გახდება ამ გვერდის მფლობელი, რედაქტირების სრული უფლებით;
- გაუზიარეთ რედაქტირების უფლება (Share) სამუშაო ჯგუფის სხვა წევრებს.

1.2. დამხმარე Google-ის ფაილების კოპირება:

ჩვენი ვებგვერდი იყენებს ჩაშენების (Embed) პრინციპს, რაც ნიშნავს, რომ გვერდზე არ არის დაკოპირებული ტექსტი და ჩანს სხვა დოკუმენტის (მაგ. Google Slides) ცოცხალი ვერსია. თუ ცვლით ორიგინალ Slides-ის ფაილს, ეს ავტომატურად აისახება ვებგვერდზე.
შექმენით ყველა დამხმარე ფაილის ასლი, მათზე სრული კონტროლისათვის:
წყაროს გახსნა: შედით Drive-ზე არსებულ შაბლონის საქაღალდეში
FinalPackage_DigitalPlatform
კოპირება: თითოეულ დოკუმენტზე (Google Slides, Google Forms, Google Sheets) მარჯვენა ღილაკის დაწკაპუნებით, აირჩიეთ „ასლის შექმნა“ (Make a Copy);
დაჯგუფება: ყველა ახლად შექმნილი ასლი (ასევე, Google Sites-ის ასლი) ორგანიზებულად შეინახეთ ერთ ახალ საქაღალდეში.

1.3. Padlet-ისა და Google Sites-ის დაკავშირება (ბმულების შეცვლა)

ამ ეტაპზე თქვენი Google Sites-ის ასლი ჯერ კიდევ ძველ დოკუმენტებს უჩვენებს. შეცვალეთ ეს ძველი ბმულები ახალი ასლების ლინკებით:

- გახსენით რედაქტირების რეჟიმი თქვენს Google Sites-ის ასლზე;
- გადადით ჩაშენებული ფაილების გვერდზე (მაგ: „მთავარი გვერდი“, „მშობლების გვერდი");
- დააწკაპუნეთ ჩაშენებულ ბლოკს (Google Slides-ის, Forms-ის ან Padlet-ის გამოსახულებას);
- განაახლეთ Google-ის ფაილები (Slides, Forms, Sheets):
- გახსენით ახალი, კოპირებული Google Slides/Forms-ის ფაილი თქვენს Drive-ზე;
- დააწკაპუნეთ ღილაკზე „გაზიარება“ (Share) და დარწმუნდით, რომ ფაილი „ყველასთვის საჯაროა“ (Public);



- დააკოპირეთ ფაილის საჯარო ბმული;
- დაბრუნდით Google Sites-ზე და, ჩაშენებულ ბლოკზე დაწკაპუნებით, შეცვალეთ ძველი ბმული ახლით.

1.4. Padlet-ის განახლება: ვებგვერდზე ინტეგრირებულია Padlet-ის 3 გვერდი, გარე სერვისის სახით.

საკუთარ საჭიროებებზე ვებგვერდის სრულად მოსარგებად:

- დარეგისტრირდით padlet-ის პლატფორმაზე;
- შექმენით ქვემოთ წარმოდგენილი გვერდების ასლები (remake);
- ჩააშენეთ თქვენ მიერ დაკოპირებული სამი padlet-ის დაფა ვებგვერდზე.



ნაბიჯი 2: ვებგვერდის სამუშაო ჯგუფის შექმნა

ამ ეტაპზე უნდა შეარჩიოთ და დააკომპლექტოთ მცირე სამუშაო ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ვებგვერდის შექმნაზე, რედაქტირებასა და მართვაზე. სასურველია, გუნდში იყვნენ სკოლის სხვადასხვა ჯგუფის წარმომადგენლები:

კოორდინატორი/მენეჯერი: პირი, რომელიც იზრუნებს პროცესის შეუფერხებლად წარმართვასა და კომუნიკაციაზე;

ტექნიკური მხარდაჭერის სპეციალისტი: პირი, რომელსაც აქვს საბაზისო ცოდნა Google Sites-თან მუშაობის შესახებ, ან ამ საკითხების სწრაფად ათვისების უნარი;

შინაარსის შემქმნელები: მასწავლებლები, მოსწავლეები ან მშობლები, რომლებიც მოამზადებენ ამ გვერდებისთვის აქტუალურ და საინტერესო ინფორმაციას.

ნაბიჯი 3: გვერდის ყოველდღიურად მართვა

ამ რესურსის ფუნქციურობა დამოკიდებულია მის რეგულარულ განახლებაზე. შესაბამისად, ყოველდღიური ან ყოველკვირეული რუტინის სახით დანერგეთ:

განცხადებების განახლება: ყოველკვირეულად განაახლეთ განყოფილება „ეს კვირა ჩვენს სკოლაში“, სადაც განთავსდება მიმდინარე კვირის მნიშვნელოვანი თარიღები, შეხსენებები და სიახლეები;

კალენდრის სინქრონიზაცია: დარწმუნდით, რომ სასკოლო ღონისძიებები კვლავ აქტუალურია და კალენდართან სწორად არის დაკავშირებული;

შინაარსის შექმნა: წაახალისეთ გუნდის წევრები, რომ რეგულარულად შექმნან ახალი კონტენტი (ფოტოები, მოკლე ტექსტები, სიახლეები) და გაანაწილონ შესაბამის გვერდებზე;

აქტივირება: დროდადრო ძველი განცხადებები გადაიტანეთ არქივში, რათა მთავარი გვერდი არ გადაიტვირთოს.

პრაქტიკული რესურსები, რომლებიც სკოლის ყოველდღიურ ცხოვრებაში დემოკრატიული პრაქტიკის მხარდაჭერას ისახავს მიზნად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული თანამონაწილეობითი პროცესის შედეგად მომზადდა. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები, ადგილობრივი ექსპერტების მიერ წარმართული პროცესის ფარგლებში, მონაწილეობდნენ ეროვნული საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისი ინსტრუმენტებისა და სტრატეგიების შემუშავებაში. პროცესი მონაწილეობითი გადაწყვეტილებების მიღების, ინკლუზიურობისა და მდგრადობის პრინციპებს ეფუძნებოდა.

წინამდებარე პუბლიკაციაში წარმოდგენილია პრაქტიკული რესურსები, რომლებიც მოიცავს ინსტრუმენტებსა და გზამკვლევებს მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერების, დაინტერესებულ მხარეებთან პარტნიორობის გაღრმავების, ინკლუზიური სასკოლო გარემოს ხელშეწყობისა და ციფრული კომუნიკაციისა და მონაწილეობის მხარდაჭერისთვის. რესურსები შემუშავდა მონაწილეობითი შეხვედრებისა და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების საფუძველზე და შესაბამისად, თითოეული მათგანი უშუალოდ პასუხობს სკოლების წინაშე მდგარ გამოწვევებს, რაც მათ აქტუალობას და პრაქტიკულ გამოყენებადობას უზრუნველყოფს.

მთლიანობაში, წინამდებარე მრავალმხრივი პრაქტიკული რესურსები სკოლებს დაეხმარება გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მოსწავლეთა მონაწილეობის გაძლიერებაში, მოსწავლეებს, მშობლებსა და ადგილობრივ თემს შორის უფრო ძლიერი თანამშრომლობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებაში, და ასევე, დემოკრატიისა და მონაწილეობითი კულტურის გაძლიერებაში სასკოლო ცხოვრების ყველა ასპექტში.

KAT

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომლის ძირითად მიზანს ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int
www.coe.ge

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE